მესხეთის უნივერსიტეტი

№8-9 (301) სექტემბერი-ოქტომბერი, 2026 წელი • გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან



მეცნიერებისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების ერთობა

საქართველოს ეკონომისტთა VIII ეროვნული კონფერენცია

11 სექტემბერს, საქართველოს ეკონომისტის დღეს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა საქართველოს ეკონომისტთა VIII ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციას. **„საქართველოს ეკონომიკა გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში: გამოწვევები და შესაძლებლობები“** – ასეთი იყო თემა კონფერენციის, რომელიც მიეძღვნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსების 85 წლისთავს.

კონფერენციის ოფიციალური გახსნის საზეიმო ნაწილში დამსწრე საზოგადოებასა და მოწვეულ სტუმრებს მიესალმნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ეკონომიკის დოქტორი **ვახტანგ თაქთაქიძე**, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი **გივი მიქანაძე**, მინისტრის მოადგილე **ზვიად გაბისონია**, აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა**, პროფესორი **მერაბ ბერიძე**, პარტნიორი უნივერსიტეტების რექტორები, სახელმწიფო რწმუნებულისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

გაგრძელება მე-5 გვ.

სამცხე-ჯავახეთმა სამეცნიერო ფორუმს უმასპინძლა



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებითა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პატრონაჟით, ახალციხის ციხის ტერიტორიაზე, 12 ოქტომბერს, გაიმართა **„მეცნიერების რეგიონული ფესტივალი – 2026“**. ღონისძიებამ უმაღლესი სასწავლებლები, კვლევითი ინსტიტუტები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და სამცხე-ჯავახეთის ექვსივე მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობა გააერთიანა. ფესტივალის ფუნდამენტურ მიზანს რეგიონული სამეცნიერო პოტენციალის რეალური დემონსტრირება, ახალგაზრდა თაობაში კვლევითი ინტერესის გაღვივება და აკადემიურ სექტორსა, საჯარო ინსტიტუციებსა და ბიზნესს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება წარმოადგენდა.

ფორუმის ოფიციალური ნაწილი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ვახტანგ თაქთაქიძისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის ზვიად გაბისონიას მისასალმებელი სიტყვით გაიხსნა. მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა რეგიონული უნივერსიტეტის მზარდ როლს ქვეყნის სამეცნიერო სივრცეში და ნაყოფიერი მასპინძლობისთვის უნივერსიტეტის რექტორს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

გაგრძელება მე-2 გვ.

პროფესორ მერაბ ბერიძეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვარლამ თოფურიას სახელობის პრემია მიენიჭა



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და სადოქტორო პროგრამების განვითარების დეპარტამენტის უფროსს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მერაბ ბერიძეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვარლამ თოფურიას სახელობის პრემია მიენიჭა. პროფესორი მერაბ ბერიძე დაჯილდოვდა ორტომეული მონოგრაფიისთვის – „მესხეთის ტოპონიმია“.

ვარლამ თოფურიას სახელობის პრემია ენიჭებათ ენათმეცნიერებისა და ქართველური ენების დარგში მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომებისა და კვლევების ავტორებს. პრემიის მინიჭება წარმოადგენს ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებისა და ავტორის კვლევითი საქმიანობის აღიარებას.

პროფესორ მერაბ ბერიძის მრავალწლიანი სამეცნიერო მოღვაწეობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს როგორც ქართული ენათმეცნიერებისთვის, ისე დიალექტოლოგიისა და ტოპონიმიის შესწავლისათვის. მისი კვლევები ხელს უწყობს რეგიონის ისტორიული მეხსიერების გააზრებასა და იმ ცოდნის შენარჩუნებას, რომელიც მომავალ თაობებს უნდა გადაეცეს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვება არა მხოლოდ მისი პირადი, არამედ მთელი უნივერსიტეტის წარმატებაა. სიმბოლურია, რომ სტუდენტობისას მას ჰქონდა ვარლამ თოფურიას სახელობის სტიპენდია.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ულოცავს ბატონ მერაბს ამ მნიშვნელოვან სამეცნიერო აღიარებას და უსურვებს შემდგომ წარმატებებს. მისი მრავალწლიანი სამეცნიერო მოღვაწეობა და უნივერსიტეტის აკადემიურ ცხოვრებაში შეტანილი წვლილი განსაკუთრებულად ფასეულია საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის.

ისტორია, სარწმუნოება და ეროვნული ღირებულებები

პროფესორ სერგო ვარდოსანიძის საჯარო ლექცია

გვ.6





ინფორმაციები





ჯურსდამთავრებულთა საზეიმო გაცილება

გვ.4

ახალი სასწავლო წელი საზეიმო ვითარებაში დაიწყო

გვ.7



„თეატრი უნდა აჰყვეს ქვეყნის სუნთქვას...“

გვ.10



ერთობა მეცნიერებისა და სარწმუნოების გზაზე

გვ.6

გლობალური სამეცნიერო სივრცე და ახალი ჰორიზონტები

გვ.9









სამცხე-ჯავახეთმა სამეცნიერო ფორუმს უმასპინძლა





პირველი გვერდიდან

ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთაგან სიტყვით წარდგნენ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი **ვარლამ წიკლაური**, საკრებულოს თავმჯდომარე **საბა კბილაშვილი**, სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ვახტანგ მერაბიშვილი**, აგრეთვე, პარტნიორი ორგანიზაციების ხელმძღვანელები და მოწვეული რექტორები. ღონისძიებას ესწრებოდნენ განათლების სამინისტროს მეცნიერების დეპარტამენტის უფროსი **ქეთევან ქოქრაშვილი**, რეგიონის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები, საგანმანათლებლო რესურსცენტრების მენეჯერები და აკადემიური წრეების წარმომადგენლები.

ფესტივალის ფარგლებში გაშლილმა მრავალფუნქციურმა და ინტერაქციულმა სივრცეებმა დამთვალიერებელს თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების უშუალო გაცნობისა და პრაქტიკულ ექსპერიმენტებში ჩართვის შესაძლებლობა მისცა. წარმოდგენილი ექსპოზიციები მოიცავდა ისეთ ფუნდამენტურ და გამოყენებით დარგებს, როგორებიცაა ფარმაკოქიმია, მედიცინა, ბიომედიცინა, ასტროფიზიკა, ინჟინერია, ინოვაციური ტექნოლოგიები და საზღვაო ნავიგაცია.

თავად სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ფართო საზოგადოებას ჰუმანიტარული მეცნიერებების, არქეოლოგიის, აგრონომიის, ბუნებისმეტყველებისა და ვეტერინარიის თემატური კუთხეები წარუდგინა. ცალკე აღნიშვნის ღირსია უნივერსიტეტის ბაზაზე მოქმედი აფხაზური ცენტრის პრეზენტაცია, სადაც თემატური სამხატვრო გამოფენა და მშვიდობის მშენებლობისაკენ მიმართული ინიციატივები იყო წარმოდგენილი.

ღონისძიების კულტურული განზომილება ორგანულად შეავსო ფოლკლორულმა ანსამბლმა **„მესხეთი“** და უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა **„მესხეთის უნივერსიტეტი“**, რომლებმაც მაყურებელს მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები შესთავაზეს.

ფესტივალის კულმინაცია გახდა საზეიმო დაჯილდოების ცერემონია. ზვიად გაბისონიამ 2024-2026 წლებში გაწეული ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისა და უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციასა და ცნობადობის ამაღლებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი დააჯილდოვა. ამასთან, უწყებრივი მადლობის სიგელები გადაეცათ პარტნიორი ინსტიტუციების წარმომადგენლებსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებს.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მადლიერებას გამოხატავს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, პარტნიორი ორგანიზაციებისა და თითოეული სტუმრის მიმართ ღონისძიების წარმატებით განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის.

გთავაზობთ სამეცნიერო ფესტივალზე გამომსვლელთა სიტყვებს:

ვახტანგ თაქთაქიძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ეკონომიკის დოქტორი:

ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობს დიდებულ მესხეთში, ამ უძველესი, ისტორიული ახალციხის ციხეზე, მეცნიერების ეროვნულ ზეიმს. ფესტივალს ესწრებიან სხვადასხვა უნივერსიტეტისა და სხვადასხვა კვლევითი ცენტრის წარმომადგენლები, მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველაზე ძვირფასი – ჩვენი ახალგაზრდობა, წარმომადგენლები ჩვენი მხარის ექვსივე მუნიციპალიტეტიდან.

დღეს კიდევ ერთხელ უნდა შევახსენოთ ერთმანეთს, თუ რა ძალა აქვს მეცნიერებას, თუ რა შეუძლია ნამდვილ ცოდნას. დიდი პატივისცემითა და მოწიწებით მინდა მადლიერება გამოვხატო განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიმართ, ჩვენი დღევანდელი ღონისძიების მთავარი ორგანიზატორის მიმართ და თავად მინისტრის, გივი მიქანაძის მიმართ, რომელმაც დღევანდელი დღის შესაძლებლობა მისცა ჩვენს მხარეს.

დიდი პატივისცემით მივესალმებით განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილეს, ჩვენი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორს, ბატონ ზვიად გაბისონიას.

წმინდა წერილში ნათქვამია, რომ ერთობა ქმნის აღმშენებლობას. სწორედ ამ ერთობის მომსწრენი ვართ დღეს. მინდა, დიდი მადლიერება გამოვხატო თითოეული ინსტიტუციის მიმართ, რომელიც ჩართულია დღევანდელი ფესტივალის ორგანიზებაში. მინდა, ჩვენს კოლეგა უნივერსიტეტებს, თითოეულ კვლევით ცენტრს გადავუხადო დიდი მადლობა.

დღეს ჩვენი ახალგაზრდები შთაბეჭდილებებით აღსავსენი დაბრუნდებიან შინ და იტყვიან, რომ მეცნიერება თურმე ჭაღარა, უნივერსიტეტში დაბერებული ადამიანების საქმე არ ყოფილა; მეცნიერება ყოფილა ხვალინდელი დღის საქმე და საფუძველი საქართველოს აღმშენებლობისა და გაძლიერების.

ძვირფასებო, მე მაქვს მისია, გადმოგცეთ გულითადი მოკითხვა და კეთილი სურვილები ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის **მიტროპოლიტ თეოდორეს,** ასევე, საქართველოს პარლამენტში ჩვენი რეგიონის დელეგატების: ბატონი **ანტონ ობოლაშვილისა** და ბატონი **სამველ მანუკიანის,** სამცხე-ჯავახეთის მხარის რწმუნებულის, ბატონი **სოსო ალიბეგაშვილის**, რომლებიც, საპატიო მიზეზების გამო, ვერ ესწრებიან ფორუმს. მინდა გადმოგცეთ მეუფის კურთხევა და ამ დიდებული ადამიანების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა.

დღევანდელი დღე ვერ შედგებოდა, რომ არა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თითოეული თანამშრომლის აქტიური ჩართულობა. გვექნება საშუალება, რომ პროფესორ-მასწავლებლები დავაჯილდოვოთ მათი დამსახურების გამო. მინდა, მადლობა გადავუხადო თითოეულ თანამშრომელს, რომ დღეს ასეთი ბრწყინვალე ზეიმის მომსწრენი ვართ.

მინდა უდიდესი მადლობა გამოვხატო რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებისა და საკრებულოების თავმჯდომარეების მიმართ. ჩანს, რომ განათლება სახელმწიფოს პრიორიტეტია. გილოცავთ ფესტივალის გახსნას.

ზვიად გაბისონია, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე:

მოგესალმებით, მეგობრებო. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მინდა მივესალმო სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ხელმძღვანელობას, რეგიონული უნივერსიტეტების რექტორებს. განსაკუთრებული პატივისცემით მივესალმები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს და მის მთლიან შემადგენლობას.

ორი წელია, რაც ჩვენ მიზანმიმართულად მეცნიერების ფესტივალს განვიხილავთ რეგიონულ ასპექტში და, შესაბამისად, ორი წელია, ვატარებთ რეგიონული ტიპის სამეცნიერო ფესტივალს. ამას აქვს ძალიან დიდი მიზანი.

იცით, რომ საქართველოს მთავრობის ინიციატივით ჩვენ ვმუშაობთ უმაღლესი განათლების რეფორმაზე, რომელიც მოიცავს მეცნიერების რეფორმირების საკითხებსაც. მეცნიერების მიმართულებით ჩვენ გვაქვს ორი დიდი გამოწვევა: ერთი – სამეცნიერო კვლევების დაფინანსების საკითხი და მეორე – მეცნიერების პოპულარიზაციის საკითხი. მოგეხსენებათ, 30 წელია, საბჭოთა მოდელიდან გადავედით დამოუკიდებელი სამეცნიერო მართვის მოდელზე და ამ პერიოდიდან ძალიან დიდი გამოწვევაა ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართულობის ნაწილში. უმთავრესი მიზანი ამ ფესტივალებისა არის ის, რომ დავაინტერესოთ და უფრო მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს ამ მიმართულებით.

უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში, დაახლოებით, ერთი წლის განმავლობაში, შევძელით, რომ უნივერსიტეტების პროფილიზაცია მოგვეხდინა. რეგიონულ უნივერსიტეტებს ექნებათ ის დატვირთვა, რაც მათთვის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია. ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ სადოქტორო პროგრამების განვითარების ნაწილზე.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს რაც შეეხება, ჩვენ წელს ძალიან ინტენსიურად მოვახდინეთ პროგრამების გადალაგება. მათ შორის, სამცხე -ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაემატა ტურიზმის პროგრამა. ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართულობა არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქართული მეცნიერების განვითარებისთვის. თითოეული ახალგაზრდა, ვინც დაინტერესდება მეცნიერებით, ნახავს, რომ აქ წარმოდგენილია საქართველოში არსებული უნივერსიტეტები, ასევე, კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც დღეს ქმნიან სამეცნიერო კვლევებსა და მეცნიერებას.

მინდა, ფესტივალის განსაკუთრებული ორგანიზებისთვის მადლობა მოვახსენო სამცხე -ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მის რექტორს, ბატონ ვახტანგს და მას, სამინისტროს სახელით, გადავცე სპეციალური პრიზი. გისურვებთ წარმატებებს.

ვახტანგ მერაბიშვილი, სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე:

მივესალმები განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილეს, ბატონ ზვიად გაბისონიას, მივესალმები მხარის წარმომადგენლებს, მობრძანებულ სტუმრებს, განსაკუთრებით, საუნივერსიტეტო სფეროს წარმომადგენლებს. ხშირად დიდი მეცნიერება იწყება კითხვებითა და ცნობისმოყვარეობით. ახალგაზრდებს მინდა ვუთხრა: დასვით კითხვები, იყავით ცნობისმოყვარენი, გაიღრმავეთ ცოდნა და შექმენით ხვალინდელი, უკეთესი მომავალი.

ვარლამ წიკლაური, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი:

მოგესალმებით, მობრძანებულო სტუმრებო. მივესალმები განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილეს, მივესალმები პროფესორ-მასწავლებლებს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, მობრძანებულ სტუმრებს. მიხარია, რომ ჩვენს ქალაქში ვმასპინძლობთ ასეთ არაჩვეულებრივ ფესტივალს. მიხარია, რომ ახალგაზრდული სულისკვეთება იგრძნობა ახალციხეში და ახალციხის მუნიციპალიტეტში. ბედნიერი ვარ დღევანდელი დღით. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს, მის მოადგილეებს განსაკუთრებული მხარდაჭერისთვის. ბოლო პერიოდში სამინისტროს არაერთი ვიზიტი ჰქონდა ახალციხეში და ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, გიმასპინძლოთ. გვიხარია, რომ გვერდში უდგახართ სამცხე-ჯავახეთის საამაყო უნივერსიტეტს. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია ყოველთვის მზადაა, რომ უმასპინძლოს მეცნიერების ასეთ ფესტივალებს და მხარში დაუდგეს მათ. გისურვებთ წარმატებას.

საბა კბილაშვილი, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: მოგესალმებით, ქალბატონებო და ბატონებო, განსაკუთრებით მივესალმები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მის რექტორს, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, ჩვენი რეგიონის ახალგაზრდებს, ჩვენს მომავალ თაობას. მიხარია, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ტარდება უმნიშვნელოვანესი ღონისძიება, რომელიც შესაძლებლობას აძლევს თითოეულ ახალგაზრდას, გაიღრმავოს ცოდნა და ჩაერთოს სხვადასხვა აქტივობაში. ყურადღებით ვადევნებდი თვალს, თუ როგორი დატვირთული იყო დღევანდელი დღე. განსაკუთრებული მადლობა სამინისტროს იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც ჩვენი რეგიონი გრძნობს. გილოცავთ დღევანდელ დღეს.

→











შალვა კირთაძე, რეგიონული უნივერსიტეტების რექტორთა კონფერენციის თავმჯდომარე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი:

მოგესალმებით, ქალბატონებო და ბატონებო. მივესალმები განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, რომელიც არაფერს იშურებს, რომ ასეთი ზეიმები ყველა იმ რეგიონსა და ქალაქში მოეწყოს, სადაც უმაღლესი განათლების კერა არსებობს.

უდიდესი საქმე გაკეთდა 1990 წელს, როდესაც აი, აქ ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი, ხოლო შემდეგ დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სახით. მადლობა ბატონ ვახტანგს მოწვევისა და ასეთი ზეიმის შექმნისთვის. ეს მადლობა ეკუთვნის მთელ მის გუნდს. მინდა, ყოველთვის ყვაოდეს მთელი საქართველო. დარწმუნებული ვარ, ეს მომავალი თაობა, რომელიც ალამაზებს დღევანდელ დღეს, იტყვის იმ სათქმელს, რომელიც ჩვენი ქვეყნის გამარჯვებას ნიშნავს.

ტიტე არეშიძე, შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი:

მოგესალმებით, პატივცემულო მეგობრებო. მივესალმები ბატონ ზვიად გაბისონიას, რეგიონისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, ჩემს კოლეგებს, ბატონ ვახტანგს და იმ ახალგაზრდობას, მოსწავლეებს, რომელთა გამოც იმართება ასეთი ზეიმები. მთავარი მიზეზი და მიზანი ეს არის ჩვენი მომავალი, მეცნიერება, რომელიც საქართველოში უნდა განვითარდეს. შეიძლება ჩვენ არ გამოვირჩევით სასარგებლო წიაღისეულით, ოქროსა და ბრილიანტის საბადოებით, მაგრამ ჩვენ გვაქვს ინტელექტუალური განძი და ამ განძს სჭირდება განვითარება, გასვლა საზღვრებს მიღმა, რათა ყველამ იცოდეს, ისევე, როგორც ადრე, ქართველი მეცნიერები ყოველთვის მსოფლიო ფლაგმანები იყვნენ. რამდენიმე ხნის უკან, როდესაც ბატონმა გივი მიქანაძემ დააანონსა რეფორმა განათლების სისტემაში, ეს არ იყო მხოლოდ ლიტონი სიტყვები, ეს იყო მიზანმიმართული ქმედებები ნაბიჯ-ნაბიჯ. დღეს ჩვენ უკვე რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი გვაქვს. ეს არის განათლებისა და მეცნიერების დაახლოება, ეს არის უფასო სწავლება სტუდენტების, ეს არის უფრო მეტი დაინტერესება ახალგაზრდა მეცნიერებისა. მადლობა საქართველოს ხელისუფლებასა და მთლიან გუნდს, რომ დიდი მხარდაჭერა ჰქონდა ამ რეფორმას მათგან. გისურვებთ საუკეთესო მომავალს, ახალგაზრდებო.

ალექსანდრე თევზაძე, ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი:

მინდა, მადლობით დავიწყო ჩემი გამოსვლა და ეს მადლობა ეკუთვნის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ამ ფესტივალის მხარდაჭერისთვის. ასეთ ფესტივალებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეგიონებისთვის. დიდი მადლობა მასპინძელ უნივერსიტეტს იმისთვის, რომ ასეთ საინტერესო ფესტივალს მასპინძლობს. ეს ყველაფერი კეთდება ახალგაზრდებისთვის იმიტომ, რომ მეცნიერება დგას ახალგაზრდებზე. სწორედ ახალგაზრდებისთვის ვცდილობთ, ვაჩვენოთ, თუ რა შეგვიძლია, რათა დაინტერესდნენ პროფესიებით, გააკეთონ აღმოჩენები. მინდა წარმატებები გისურვოთ ყველას.

ლევან თაქთაქიშვილი, ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი:

მე ვარ სტუმრად ახალციხეში, სადაც არის ჩემი გვარი წამოსული და მიხარია, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი არის ვახტანგ თაქთაქიძე.

რაც შეეხება დღევანდელ ფესტივალს, მოხარული ვარ, რომ ვიღებთ მონაწილეობას. უნივერსიტეტს გადმოვცემთ ეროვნული ბიბლიოთეკის გამოცემას, „დედაენას“, დიმიტრი ყიფიანის ჩასწორებებით. ეს არის უნიკალური გამოცემა. ამავე დროს, გამოფენაზე წარმოდგენილია ბოლო 5 წლის განმავლობაში ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოცემული უიშვიათესი გამოცემები. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც გამოვაგზავნეთ ეს გამოცემები, რომლებიც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში იქნება დაცული. მადლობა ასეთი კარგი ღონისძიების ორგანიზებისთვის.

შალვა ჭკადუა, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი:

მოგესალმებით, ძვირფასო მასპინძლებო, ახალგაზრდებო. მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმ საქმისთვის, რომელსაც ეს უნივერსიტეტი ამ რეგიონში აკეთებს. მადლობა მინდა გადავუხადო განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს იმისთვის, რომ მეცნიერების გზაზე დააყენა მთელი უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა, ამხელა რესურსს დებს მეცნიერების განვითარებისთვის. მომავალი ჩვენი ქვეყნის განვითარებისა სწორედ რომ მეცნიერებაშია. გაუმარჯოს ჩვენს მომავალ თაობას, რომელთა ხელშიცაა ქვეყნის მომავალი.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულმა ღონისძიებამ დაადასტურა, რომ სამინისტროს მხარდაჭერით, რეგიონული უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელია ქვეყნის ინტელექტუალური რესურსის სრულად წარმოჩენა და საერთაშორისო მასშტაბით ქართული მეცნიერების ტრადიციების აღდგენა.

ლიკა ზაზაშვილი

ინფორმაციები

გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს პროფესიული განათლების მნიშვნელობას რეგიონის განვითარებასა და შრომის ბაზარზე კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ულოცავს თითოეულ კურსდამთავრებულს მნიშვნელოვან მიღწევას და უსურვებს მათ წარმატებულ პროფესიულ საქმიანობას.

● **21 ოქტომბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა დასაქმების



ფორუმს, რომლის მიზანია ადგილობრივი დამსაქმებლებისა და სამუშაოს მაძიებლების დაკავშირება, სტუდენტებისთვის/პროფესიული სტუდენტებისთვის კარიერული განვითარების ხელშეწყობა და რეგიონში დასაქმების შესაძლებლობების გაფართოება.

ფორუმი დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პროექტის – **„ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის“** ორგანიზებით ჩატარდა.

ღონისძიების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ **გიორგი ცაგარეიშვილმა,** საქართველოს პარლამენტის წევრმა, ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის დელეგატმა **ანტონ ობოლაშვილმა,** ახალციხის მუნიციპალიტეტის მერმა **ვარლამ წიკლაურმა,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **ვახტანგ თაქთაქიძემ** და პროექტის **„ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის“** დირექტორმა **გიგა სარუხანიშვილმა.**

გამომსვლელებმა ყურადღება გაამახვილეს დასაქმების შესაძლებლობების გაფართოების, ახალგაზრდების შრომის ბაზარზე ინტეგრაციის, პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების მნიშვნელობაზე.

ფორუმის ფარგლებში ერთ სივრცეში წარმოდგენილი იყო 30-ზე მეტი კომპანია და 200-ზე მეტი ვაკანსია სხვადასხვა პროფესიული მიმართულებით. უნივერსიტეტის სტუდენტებს/პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ, უშუალოდ გასაუბრებოდნენ დამსაქმებლებს, გაცნობოდნენ არსებულ ვაკანსიებსა და სტაჟირების შესაძლებლობებს, მონაწილეობა მიეღოთ პირველად გასაუბრებებში და დაემყარებინათ პროფესიული კონტაქტები.

დასაქმების ფორუმების ორგანიზება მნიშვნელოვან როლს ასრულებს განათლებისა და შრომის ბაზრის ურთიერთკავშირის გაძლიერებაში, ახალგაზრდების პროფესიული ინტეგრაციის ხელშეწყობასა და დასაქმების შესაძლებლობების გაფართოებაში, ამასთან, ხელს უწყობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებასა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასა და პროფესიული განათლების მნიშვნელობის წარმოჩენას.

● **31 ოქტომბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **ვახტანგ თაქთაქიძე** საერთაშორისო კამპანიის **„ვარდისფერი ოქტომბერი“** ფარგლებში გამართულ შემაჯამებელ ღონისძიებას დაესწრო. ღონისძიება უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, პროფესორმა **მაკა ბერიძემ** გახსნა.

კამპანიის მიზნებზე, დაავადების ადრეული დიაგნოსტიკის, დროული სკრინინგისა და პრევენციული ღონისძიებების მნიშვნელობაზე ისაუბრეს საქართველოს პარლამენტის წევრებმა **ნინო წილოსანმა** და **მარიამ ლაშხმა,** იუსტიციის მინისტრის მოადგილემ **თამარ ზოდელავამ,** დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ **ეკა ადამიამ** და სამცხე-ჯავახეთის ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარემ **ინა კაპანაძემ.**

ღონისძიებას ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებული **იოსებ ალიბეგაშვილი,** ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი **ვარლამ წიკლაური,** საკრებულოს თავმჯდომარე **საბა კბილაშვილი,** სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი თვითმმართველობის, სამედიცინო და საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები.

შეხვედრის მონაწილეებმა ონკოლოგიური პაციენტების მიმართ სოლიდარობა გამოხატეს და ხაზი გაუსვეს მოსახლეობაში პრევენციული გამოკვლევების შესახებ ცნობიერების ამაღლების აუცილებლობას.

ინფორმაციები უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან

● **25 სექტემბერს, „შოთაობის“** დღესასწაულთან დაკავშირებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მწერალთა კავშირის ერთობლივი ორგანიზებით, უნივერსიტეტში გაიმართა პრეზენტაცია დოკუმენტური ფილმის – **„იქმნა ნათელი“.**

ფილმი შექმნილია პროექტის – **„რუსთაველის პრემიის ლაურეატები“,** ფარგლებში. მას, წლების განმავლობაში, საქართველოს მწერალთა კავშირი საქართველოს კულტურის სამინისტროსა და „შემოქმედებით საქართველოსთან“ ერთად ახორციელებს.

ფილმი ეძღვნება რუსთაველის პრემიის ლაურეატის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მოღვაწეობასა და ხსოვნას.

ღონისძიების ფარგლებში საქართველოს მწერალთა კავშირმა ილია ჭავჭავაძის სახელობის ენდალმა და ოქროს მედალი გადასცა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს **ვახტანგ თაქთაქიძეს,** ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის **მიტროპოლიტს მეუფე თეოდორეს,** სადოქტორო პროგრამებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსს, პროფესორ **მერაბ ბერიძეს,** ასპინძის მუნიციპალიტეტის მერს **როსტომ მაგრაქველიძეს,** თამარ მეფის სახელობის ენდალმა და ოქროს მედალი – რექტორის მოადგილეს, პროფესორ **მაკა ბერიძეს.**

ორგანიზაციის საპატიო ჯილდოები გადაეცათ სამცხე-ჯავახეთის მხარის რწმუნებულს **იოსებ ალიბეგაშვილს,** ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს **ვარლამ წიკლაურს,** ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს **ბესიკ ბერიძეს;** საქართველოს მწერალთა კავშირის უმაღლესი ჯილდო – დავით აღმაშენებლის ენდალმა და ოქროს მედალი გადაეცათ პოეტ **ნარა უგულავას** და „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორს, პოეტს – **ავთანდილ ბერიძეს.**

საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენლებს შორის იყვნენ ცნობილი ქართველი მწერლები, რუსთაველის პრემიის ლაურეატები, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე **მაყვალა გონაშვილი.**

ღონისძიებას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები, ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალი და სტუდენტები.

● **8 ოქტომბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ბერნის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს უმასპინძლა. სამუშაო ვიზიტი მიზნად ისახავდა ორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის არსებული აკადემიური კავშირებისა და მომავალი თანამშრომლობის გაღრმავებას.

დისკუსიისას გამოიკვეთა რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება. შეხვედრის დასასრულს მხარეებმა გამოთქვეს სრული მზადყოფნა დასახული გეგმების პრაქტიკულ რეალიზებასა და მჭიდრო თანამშრომლების გაგრძელებაზე.

● **16 ოქტომბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კორპუსში (ქ. ახალქალაქი), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საზეიმო ცერემონია გაიმართა.

კურსდამთავრებულებს სწავლის წარმატებით დასრულება მიულოცეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, პროფესორმა **მაკა ბერიძემ,** ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის მოადგილემ (პროფესიული განათლების მიმართულებით) **ნუნუ ჭაღიაშვილმა,** ადმინისტრაციულმა პერსონალმა და პროფესიული პროგრამების მასწავლებლებმა.











ჯურსდამთავრებულთა საზეიმო გაცილება

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა 2026 წლის კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ღონისძიება, რომელმაც თავისი მასშტაბითა და შინაარსობრივი დატვირთვით სრულიად ახალი პრეცედენტი შექმნა რეგიონის საგანმანათლებლო ცხოვრებაში. ეს დღე არ ყოფილა მხოლოდ კურსდამთავრებულების გაცილების ტრადიციული ცერემონია. მან მკაფიოდ გამოკვეთა უნივერსიტეტის, როგორც სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფოსა და ეროვნული პოლიტიკის მთავარი ფორპოსტის სტრატეგიული როლი.

ღონისძიების განსაკუთრებულობას ხაზს უსვამდა მოწვეულ სტუმართა შემადგენლობა: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წარმომადგენლები, პარტნიორი უნივერსიტეტების რექტორები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ამასთანავე, ღონისძიებაზე აკადემიური სივრცისა და ქართული სამხედრო ფორმის – თავდაცვის სამინისტროს მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის 104-ე ბატალიონისა და რეზერვისტების განსაკუთრებულმა სინთეზმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი განათლებისა და ქვეყნის უსაფრთხოებისა თუ ძლიერების მჭიდრო კავშირს.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭათ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს, ბატონ **გივი მიქანაძესა** და მის მოადგილეს – **ზვიად გაბისონიას**. როგორც აკადემიურმა საზოგადოებამ და მოწვეულმა პარტნიორებმა აღნიშნეს, ეს დღე გახდა თაობათა ცვლისა და იმ დიდი პასუხისმგებლობის საწყისი, რომლითაც ახალგაზრდებმა მიღებული ცოდნა ქვეყნისა და რეგიონის გაძლიერებას უნდა მოახმარონ.

კურსდამთავრებულთა საზეიმო ცერემონია გახსნა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ეკონომიკის დოქტორმა **ვახტანგ თაქთაქიძემ**. როგორც მან აღნიშნა, ეს დღე უნივერსიტეტის ისტორიაში განსაკუთრებულია თავისი მასშტაბურობითა და გრანდიოზულობით:

მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს კურსდამთავრებულებს, მათ მშობლებსა და პედაგოგებს. განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავ სტუმრებისადმი, რომელთა აქ ყოფნა საზეიმო განწყობას ქმნის. განსაკუთრებით ამაყები ვართ, რომ დღეს ჩვენ გვერდით არის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი, ბატონი გივი მიქანაძე და მისი მოადგილე, ბატონი ზვიად გაბისონია, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და მისი სწავლული მდივანი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არ არის მხოლოდ საგანმანათლებლო კერა – ეს არის სახელმწიფოებრივი, ეროვნული და თვითმყოფადი პოლიტიკის მთავარი ფორპოსტი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ეს არის ადგილი, რომელიც აერთიანებს კულტურულ და მეცნიერულ რესურსს და წყვეტს უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიცაა ეროვნული უმცირესობების ეფექტიანი ინტეგრაცია, მშვიდობიანი თანაცხოვრება, ადგილობრივი ფასეულობების შენარჩუნება, დაცვა და მომავალი თაობებისთვის გადაცემა.









რექტორმა, ასევე, ხაზი გაუსვა განათლებისა და ქვეყნის თავდაცვის სექტორს შორის არსებულ მჭიდრო თანამშრომლობას და მადლობა გადაუხადა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის 104-ე ბატალიონს, მის ხელმძღვანელობასა და რეზერვისტებს:

ჩვენ განსაკუთრებული ურთიერთობა გვაკავშირებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან. სასიხარულოა, რომ დღევანდელ ღონისძიებას ამშვენებს ქართული სამხედრო ფორმა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ დიად მიზანს, რასაც ყველა ერთად ვემსახურებით – საქართველოს ძლიერებას. მინდა, მადლობა ვუთხრა თითოეულ პროფესორ-მასწავლებელს, რომ დღევანდელ დღემდე წელში გამართულები მოვედით. ეს შეუძლებელი იქნებოდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერის გარეშე, რომლის მიერ წამოწყებული ახალი რეფორმის ფარგლებში უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა.

კურსდამთავრებულებს სიტყვით მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა **გივი მიქანაძემ**, მიულოცა სწავლის დასრულება და უნივერსიტეტის რეგიონულ მნიშვნელობაზე ისაუბრა. ასევე, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მადლობა მოახსენა საპატიო დოქტორის ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებით:

დიდი მადლობა იმისთვის, რომ მაქვს შესაძლებლობა, ამ არაჩვეულებრივ გარემოში ვიყო თქვენთან ერთად, მადლობა გადავუხადო სტუდენტებს, მშობლებს, პროფესორ-მასწავლებლებს და მოგილოცოთ ეს მნიშვნელოვანი დღე. თითოეული თქვენგანის ცხოვრებაში ეს არის ახალი ეტაპის დასაწყისი. ბევრი იშრომეთ, მრავალი გამოწვევა გადალახეთ და დღეს დამსახურებულად იღებთ ამ მოლოცვას.

თქვენი უნივერსიტეტი, ისტორიული სამცხისა და ჯავახეთის ტერიტორიაზე ეროვნული მნიშვნელობის საგანმანათლებლო კერაა. მისი მისია მხოლოდ მაღალი ხარისხის განათლების მიწოდებით არ შემოიფარგლება – იგი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს რეგიონის განვითარებაში, ახალგაზრდებისთვის შესაძლებლობების შექმნასა და ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში. თქვენ ხართ თაობა, რომელმაც ცოდნითა და ეროვნული თვითშეგნებით უნდა დაიცვას და გააძლიეროს ის, რაც წინაპრებმა შემოგვინახეს.

მინისტრის მოადგილემ – **ზვიად გაბისონიამ** თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა სამთავრობო რეფორმებსა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების პერსპექტივებზე:

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან მას, რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. ბევრს ვფიქრობთ, როგორ განვავითაროთ ეს ინსტიტუცია. იმ რეფორმის ფარგლებში, რომელიც მთავრობის ხელმძღვანელობით გვაქვს დაწყებული, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ სტუდენტებმა ღირსეულად ატარონ ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის სახელი. დიდი მადლობა საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებისთვის.

კურსდამთავრებულებს სიტყვით მიმართეს სამეცნიერო და აკადემიური სფეროს ცნობილმა წარმომადგენლებმაც.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი – **ვლადიმერ პაპავა:**

გილოცავთ ამ მნიშვნელოვან დღეს. ის ცოდნა, რომელიც ამ უნივერსიტეტის კედლებში მიიღეთ, არის საფუძველი, რომელიც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში უნდა გამოიყენოთ. ეს უნივერსიტეტი გამორჩეულია თავისი ისტორიით, დღევანდელობითა და მომავლით. დარწმუნებული ვარ, მის მაღალ სახელოვნებას ყოველთვის გაუფრთხილდებით.

აბასთუმნის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი – **ალექსანდრე თევზაძე:**

ცხოვრება საფეხურებისგან შედგება და ყველა საფეხური წარმატებით უნდა დასრულდეს. ყველაზე დიდი დაფასება მასწავლებლისა და აკადემიური პერსონალისთვის არის იმის დანახვა, თუ რა წარმატებას მიაღწია კურსდამთავრებულმა. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია მოხარული იქნება, გიმასპინძლოთ როგორც პროფესიულად, ისე სტუმრის სტატუსით. გისურვებთ წარმატებებს.

კურსდამთავრებულებს უნივერსიტეტის დასრულება მიულოცეს: სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ **სერგი მუშკუდიანმა**, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **საბა კბილაშვილმა**, ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტომა **თეონა ხუფენიამ**, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **ალექსანდრე მღებრიშვილმა** და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **შალვა ჭკადუამ**, 104-ე ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონის მეთაურმა, ვიცე-პოლკოვნიკმა **გოჩა ბათაძემ** და ფაკულტეტების დეკანებმა.

უნივერსიტეტის წარჩინებით დასრულებისთვის კურსდამთავრებულებს სერთიფიკატები გადასცეს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გივი მიქანაძემ, მინისტრის მოადგილემ ზვიად გაბისონიამ და აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ. ღონისძიებას საზეიმო ელფერი შემატა ფოლკლორული ანსამბლის – „მესხეთის“ მიერ შესრულებულმა „მრავალჟამიერმა“; გაჟღერდა კურსდამთავრებულთა ჰიმნი და რექტორის მოწოდებაზე – „ქუდები ცაში“, კურსდამთავრებულებმა, მხიარული შეძახილებით, ქუდები ცაში ააფრიალეს. ეს სიმბოლური ჟესტი გახდა არამხოლოდ სტუდენტური წლების დამთავრების, არამედ ახალი, პასუხისმგებლობით სავსე ცხოვრებისეული ეტაპის დასაწყისის.

ლიკა ზაზაშვილი









მეცნიერებისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების ერთობა

საქართველოს ეკონომისტთა VIII ეროვნული კონფერენცია






პირველი გვერდიდან

კონფერენცია პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში უნივერსიტეტის რექტორმა ვახტანგ თაქთაქიძემ გახსნა. მან მადლობა მოახსენა მობრძანებულ სტუმრებს და აღნიშნა, რომ მესხეთის ისტორიულ მხარეში გამართული ეკონომისტთა VIII საერთაშორისო კონფერენცია, დღევანდელ რთულ და დინამიკურ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, განსაკუთრებით პრაგმატულ და სიღრმისეულ პლატფორმას წარმოადგენს; ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს მდგრადობისა და სწორი განვითარების გზებზე, რაშიც წამყვანი როლი სწორედ მეცნიერებასა და აკადემიურ წრეებს ენიჭება:

უნივერსიტეტის სახელით, მივესალმები ეკონომისტთა VIII საერთაშორისო კონფერენციას. ჩვენი უნივერსიტეტისათვის უდიდესი პატივი და ღირსებაა ამ მასშტაბის სამეცნიერო ღონისძიების მასპინძლობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ასეთ მაღალ აკადემიურ საზოგადოებასთან ერთად უმაღლეს დონეზეა წარმოდგენილი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. ამისათვის მადლობას მოვახსენებთ ბატონ მინისტრს – გივი მიქანაძეს, ასევე, მინისტრის მოადგილეს, ბატონ ზვიად გაბისონიას. საქართველოს ისტორიული მხარე – მესხეთი, ამ მეტად რთულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში, მასპინძლობს მაქსიმალურად პრაგმატული შინაარსის კონფერენციას. დღეს არაფერია გამორიცხული მსოფლიოში, მით უმეტეს, ჩვენი მასშტაბის სახელმწიფო უნდა ელოდოს მოვლენათა განვითარების ნებისმიერ სიტუაციას. ამ კუთხით წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერებას, რათა მზად ვიყოთ ყოველგვარი გამოწვევისთვის და ქვეყანამ განაგრძოს სწორი გზით განვითარება.

დღევანდელ დღეს, 11 სექტემბერს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სექტემბრის მეორე პარასკევს აღვნიშნავთ საქართველოს ეკონომისტის დღეს. გილოცავთ ყველას. ასევე, ჩვენი კონფერენცია ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 85 წლის იუბილეს. მინდა მისი პრეზიდენტის, ბატონი როინ მეტრეველის ხელმძღვანელობით მთელ აკადემიას დავუდასტურო ჩვენი პატივისცემა. მინდა დიდი მოწიწებით ჩემს მასწავლებელს, ბატონ ვლადიმერ პაპავას დიდი მადლობა ვუთხრა, რომ დღეს ეს კონფერენცია ჩვენთან იმართება. ასევე, მიხარია, რომ დღეს ჩვენ გვერდით არიან საუნივერსიტეტო საზოგადოების წარმომადგენლები, სამეცნიერო საზოგადოება.

დიდი პატივისცემით მივესალმები აბასთუმნის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ხელმძღვანელს, მივესალმები ზუგდიდის, თელავისა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტების რექტორებს, იმ ინსტიტუციებს, რომლებიც ჩვენ გვერდით არიან და მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ეკონომიკის სამეცნიერო აზრის განვითარებაში.

კონფერენციის მონაწილეთ მიესალმა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი გივი მიქანაძე:

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ქვეყანას მნიშვნელოვან სტრატეგიულ უპირატესობას ანიჭებს და განვითარებისათვის უდიდესი პოტენციალის შექმნის შესაძლებლობას იძლევა. შუა დერეფნის განვითარება საქართველოსთვის არაერთ ახალ შესაძლებლობას გააჩენს. ამ შესაძლებლობების სრულად გამოყენებისთვის კი, სატრანსპორტო და სხვა ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცოდნას, ტექნოლოგიურ პროგრესს, ინოვაციებსა და ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას. ამ მიმართულებით მინდა, გამოვყო რეგიონული უნივერსიტეტების მნიშვნელობა, ვინაიდან მათ უდიდესი წვლილი მიუძღვით რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

ჩვენი მიზანია, რეგიონულ უნივერსიტეტებს მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი თანამედროვე ცოდნის გავრცელებაში, კვლევითი საქმიანობის გაძლიერებასა და საერთაშორისო კავშირების გაღრმავებაში. სწორედ ამას ემსახურება უმაღლესი განათლების საფეხურზე მიმდინარე ეროვნული რეფორმა. – განაცხადა მინისტრმა.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ზვიად გაბისონია:

მივესალმები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს თავის პროფესურასთან ერთად და საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიას. ჩვენ ვმუშაობთ უმაღლესი განათლების რეფორმაზე, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი გახლავთ მეცნიერების რეფორმირების საკითხი და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რეგიონის უნივერსიტეტებმა აქტიურად იმუშაონ დედაქალაქის უნივერსიტეტებთან და ერთმანეთთანაც. მოგეხსენებათ, რომ სადოქტორო პროგრამების დონეზე ვცდილობთ, ინტერდისციპლინური და ინტერინსტიტუციური სადოქტორო პროგრამები განვავითაროთ. ჩვენ ვამუშავებთ რამდენიმე საკანონმდებლო პაკეტს მეცნიერების მიმართულებით, რომელსაც აუცილებლად გაგაცნობთ. დიდი მადლობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს კონფერენციის ორგანიზებისთვის. წარმატებული მუშაობა მინდა ვუსურვო კონფერენციას და მის თითოეულ მონაწილეს.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი **ვლადიმერ პაპავა**. მან მადლობა გადაუხადა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს მასპინძლობისთვის და ეკონომისტის დღის დაარსების ისტორია გაიხსენა:

1999 წელს, როდესაც ეკონომიკის მინისტრი გახლდით, ერთერთმა თანამშრომელმა ეროვნული ბიბლიოთეკიდან შემომიტანა ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ პირველი ნომერი, რომელიც 1918 წლის 13 სექტემბრით, პარასკევი დღით თარიღდებოდა. შევისწავლეთ ეს ჟურნალი, შევისწავლეთ ისტორია; აღმოჩნდა, რომ ეს იყო პირველი პერიოდული გამოცემა არა მხოლოდ ეკონომიკის სფეროში. ეს ფაქტი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი იყო. კოლეგებთან კონსულტაციის შემდეგ, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ეს დღე ეკონომისტის დღედ გამოცხადებულიყო. მივმართეთ იმდროინდელ პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს და მისი განკარგულებით, სექტემბრის მეორე პარასკევი ოფიციალურად ჩამოყალიბდა ეკონომისტის დღედ. 2018 წელს გაჩნდა იდეა, რომ ეს თარიღი კონფერენციის ჩატარებით აღგვენიშნა. პირველი კონფერენცია ევროპის უნივერსიტეტში ჩატარდა. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ღონისძიება მონაცვლეობით გამართულიყო– ერთ წელს დედაქალაქში, ხოლო მეორე წელს რეგიონის უნივერსიტეტში.

მნიშვნელოვანია, რომ ამ კონფერენციით ახალგაზრდების დაინტერესება სულ უფრო მზარდია. აქვე დიდ მადლობას ვუხდი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება – მიმდინარე წელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თარიღს მიუძღვნას.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და სადოქტორო პროგრამების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ** თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა მიმდინარე საუნივერსიტეტო რეფორმების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ეკონომისტთა ფორუმი ამ პროცესში განსაკუთრებულ როლს თამაშობს:

დღეს საეტაპო დღეა ჩვენს უნივერსიტეტში იმ თვალსაზრისით, რომ მიმდინარე საუნივერსიტეტო რეფორმების ფონზე ეკონომიკური პრობლემები ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. ამ რეფორმის სერიოზული შედეგი უკვე თვალსაჩინოა. ეკონომისტების დღევანდელი ფორუმი უაღრესად მნიშვნელოვანია. მინდა მივულოცო ჩვენს აკადემიას იუბილე. აკადემია ყოველთვის იყო ნებისმიერი მეცნიერებისთვის უმთავრესი საზომი. ის ფაქტი, რომ დღეს ეს თარიღი ასე აღინიშნება, პრინციპული და ძალზე მნიშვნელოვანია. მინდა წარმატება ვუსურვო კონფერენციას და მის თითოეულ მონაწილეს.

ალექსანდრე თევზაძე, აბასთუმნის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი:

დღეს აღინიშნება მეცნიერებათა აკადემიის 85 წლის იუბილე და ჩვენ, ობსერვატორიამ, ამ ღონისძიებებში განსაკუთრებული წვლილი უნდა შევიტანოთ, ვინაიდან ევგენი ხარაძის სახელობის ობსერვატორია ვართ. ბატონი ევგენის წვლილი, როგორც აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და პრეზიდენტისა, აკადემიის განვითარებაში, ასევე, რეგიონში მეცნიერების განვითარებაში – არა მხოლოდ ობსერვატორიის, არამედ ამ უნივერსიტეტის განვითარებაშიც, უდიდესია და ამიტომ ამ პასუხისმგებლობას ჩვენ დიდი რუდუნებით ვეკიდებით.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **სერგი მუშკუდიანი**, საკრებულოს თავმჯდომარე **საბა კბილაშვილი**, შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **თეონა ხუფენია**.

კონფერენციის მუშაობა გაგრძელდა პლენარული სესიით, სადაც მოხსენებებით წარდგნენ აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა**, პროფესორი – **ელგუჯა მექვაბიშვილი**, ეთერ ხარაიშვილი, თემურაზ შენგელია.

კონფერენცია ხუთ სექციაში მიმდინარეობდა. სექციების მუშაობაში, პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, მონაწილეობდნენ ახალგაზრდა მკვლევრებიც. დასასრულს გაიმართა სექციური მუშაობის შეჯამება და ოფიციალური დახურვა.

სამეცნიერო კონფერენცია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა. ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისია, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი.

ლიკა ზაზაშვილი





ისტორია, სარწმუნოება და ეროვნული ღირებულებები

პროფესორ სერგო ვარდოსანიძის საჯარო ლექცია





ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 27 ოქტომბერს, გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე **„რა გვაერთიანებდა, რა გაგვაერთიანებს“** – ისტორიული ექსკურსი IV-XX საუკუნეებში. ლექცია წაიკითხა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, თეოლოგიის დოქტორმა, პროფესორმა **სერგო ვარდოსანიძემ**. ლექციას უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესიული პროგრამების სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და მობრძანებული სტუმრები ესწრებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრა განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო როგორც უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოებისა და სტუდენტებისთვის, ისე მთლიანად რეგიონისთვის.

საჯარო ლექცია უნივერსიტეტის რექტორმა **ვახტანგ თაქთაქიძემ** გახსნა. მან მადლიერება გამოხატა საპატიო სტუმრის მიმართ და დამსწრე საზოგადოებას ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან 1700 წლის იუბილე მიულოცა, ხაზი გაუსვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების როლს მესხეთის საზოგადოებრივ, კულტურულ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში და ისაუბრა საქართველოს ისტორიული და სულიერი მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე:

მინდა, განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო პროფესორ სერგო ვარდოსანიძის მიმართ იმისთვის, რომ გამონახა დრო და ჩამობრძანდა ჩვენთან, მესხეთში. დღევანდელი დღე მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტის ზეიმი და სიხარული არ არის, ეს მთელი ჩვენი მხარის ზეიმია, რადგან დღეს ასეთი საპატიო და ღირსეული სტუმარი გვყავს. გულითადად მივესალმები ჩვენი უნივერსიტეტის ახალგაზრდობას, პროფესორ-მასწავლებლებსა და ქალაქიდან ჩამობრძანებულ სტუმრებს.

დღიდან უნივერსიტეტის დაარსებისა, ჩვენ ერთგულად ვემსახურებით საქართველოს, ქართულ ეროვნულ ღირებულებებს და, რაც ყველაზე მთავარია, იმ სარწმუნოებას, რომელზეც ჩვენი სახელმწიფოებრივი და სულიერი იდენტობაა დაფუძნებული და რომელმაც საუკუნეების განმავლობაში გაგვაერთიანა. განსაკუთრებით მიხარია, რომ დღეს ჩვენი ახალგაზრდები ასე გულანთებულნი მობრძანდით. უნივერსიტეტი მხოლოდ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება არ არის. ჩვენი უნივერსიტეტი მესხეთში უმნიშვნელოვანეს ინტელექტუალურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენს, ის ჩვენი მხარის გულია.

რექტორმა განსაკუთრებული მადლიერებით ისაუბრა პროფესორ სერგო ვარდოსანიძესთან პირად ურთიერთობაზეც და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისთვის დიდი პატივია, უმასპინძლოს ადამიანს, რომლის ლექციებსაც თავად უსმენდა სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდში:

ბედნიერი ვარ დღევანდელი დღით, რადგან, ერთი მხრივ, ვხელმძღვანელობ უნივერსიტეტს და, უნივერსიტეტის სახელით, შესაძლებლობა მაქვს, მადლობა მოვახსენო ჩვენს საპატიო სტუმარს, პროფესორ სერგო ვარდოსანიძეს, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტს და თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ისტორიის მიმართულების დეპარტამენტს. მეორე მხრივ კი, ჩემთვის პირადად, განსაკუთრებული პატივია, რომ ბატონი სერგო ჩემი მასწავლებელი გახლდათ სასულიერო სემინარიაში და მქონდა შესაძლებლობა, უშუალოდ მომესმინა მისი ლექციებისთვის. ეს ჩემთვის უდიდესი პატივიცაა და განსაკუთრებული სიხარულიც.

შეხვედრისას ყურადღება გამახვილდა მიმდინარე წლის განსაკუთრებულ ისტორიულ მნიშვნელობაზეც. რექტორმა აღნიშნა, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან 1700 წლის იუბილე მნიშვნელოვანი მოვლენაა მთელი საქართველოსთვის, ხოლო სამცხე-ჯავახეთი ქვეყნის ქრისტიანული ისტორიის სათავეებთან განსაკუთრებულ ადგილს იკავებს:



მიმდინარე წელი საქართველოსთვის გამორჩეული და ისტორიული მნიშვნელობისაა – ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან 1700 წელი შესრულდა. სწორედ სამცხე-ჯავახეთი არის ის მხარე, რომელიც განსაკუთრებულ ადგილს იკავებს საქართველოს ქრისტიანული ისტორიის სათავეებთან. გადმოცემის თანახმად, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირდება ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობა, ხოლო აწყური ქართული ეკლესიის უძველესი საეპისკოპოსო კერაა. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ისტორიული და სულიერი მემკვიდრეობით, იმით, რომ ვართ ამ დიდი ისტორიის თანამონაწილენი და საქართველოს დედაეკლესიის ერთგულნი.

გულითადად გილოცავთ ამ უმნიშვნელოვანეს თარიღს. ჩვენი უნივერსიტეტი, მთელი თავისი შემადგენლობით, უერთდება ამ დიდ ეროვნულ და სულიერ ზეიმს. ამ თარიღის აღსანიშნავად უნივერსიტეტში უკვე გაიმართა რამდენიმე ღონისძიება და დღევანდელი შეხვედრაც ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიაში განსაკუთრებულ დღედ ჩაიწერება. მჯერა, რომ ასეთი შეხვედრები კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს ერთობას, გააღრმავებს ახალგაზრდების ინტერესს საქართველოს ისტორიისა და სულიერი მემკვიდრეობის მიმართ და კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ჩვენი უნივერსიტეტის განსაკუთრებულ როლს მესხეთის ინტელექტუალურ, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

რექტორმა, შემდეგ, დამსწრე საზოგადოებას პროფესორი სერგო ვარდოსანიძე წარუდგინა.

პროფესორმა მადლობა გადაუხადა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს მასპინძლობისთვის და ახალგაზრდებთან შეხვედრის შესაძლებლობისთვის. მან, ასევე, წარმატებები უსურვა უნივერსიტეტის რექტორს, ვახტანგ თაქთაქიძეს, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არჩევასთან დაკავშირებით და ყურადღება გაამახვილა უნივერსიტეტის ისტორიულ მისიაზე, რომელიც, მისი შეფასებით, თავისი მნიშვნელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ისტორიულ მისიას უკავშირდება.

როგორც ბატონმა სერგომ აღნიშნა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვეყნის საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მისი მნიშვნელობა თითოეული ქართველისთვის გაცნობიერებული უნდა იყოს:

პირველყოვლისა, მადლობა უნდა გამოვხატო ამ დიდი ტრადიციების მქონე უნივერსიტეტის მიმართ, რომ მომცა საშუალება, კიდევ ერთხელ მოვსულიყავი და შევხვედროდი ახალგაზრდებს. მე მქონდა ამისი საშუალება პროფესორ მერაბ ბერიძის რექტორობის დროს, კარგად ვიცნობ ყოფილ რექტორს, პროფესორ მაკა ბერიძეს, უნივერსიტეტის პროფესურას. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივულოცო ბატონ ვახტანგს ამ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არჩევა და ვუსურვო წარმატებები.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეს იგივეა, რაც 1918 წლის 26 იანვარს ივანე ჯავახიშვილმა თბილისში უნივერსიტეტის გახსნით დაიწყო. მაშინ, თბილისში, უნივერსიტეტი როდესაც იხსნებოდა, იყო ასეთი ვითარება – ქალაქში მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი არაქართველი ცხოვრობდა. თბილისი არაქართული ქალაქი იყო და აქ ქართული უნივერსიტეტის გახსნა წარმოუდგენელი რამ იყო. თბილისის უნივერსიტეტმა გააქართულა თბილისი; ახალციხის უნივერსიტეტმაც, 90-იანი წლებიდან დღემდე, მე შორიდან ვადევნებ თვალს, დაახლოებით იგივე მისია შეასრულა. ამიტომ, ამ უნივერსიტეტს ყველა განსაკუთრებულ პატივს უნდა ვცემდეთ და ამ უნივერსიტეტის ცხოვრება თითოეული ქართველისთვის უნდა იყოს თავისი შინაგანი ცხოვრების ნაწილი, თუ მას სურს მომავალ საქართველოზე საუბარი.

პროფესორმა, შემდეგ, საჯარო ლექცია წაიკითხა. ლექციის ბოლოს, დაისვა არაერთი კითხვა. საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს და მადლობა მოახსენეს ბატონ სერგოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა **მერაბ ბერიძემ, მაკა ბერიძემ, ლევან მაკარაძემ**. ასევე, საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო სტუდენტების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები.

შეხვედრის დასასრულს უნივერსიტეტის რექტორმა, ვახტანგ თაქთაქიძემ, მადლობა გადაუხადა პროფესორ სერგო ვარდოსანიძეს სტუმრობისა და საინტერესო ლექციისთვის და გამოთქვა ინიციატივა, მომავალში აწგარდაცვლილი პატრიარქის, ილია II-ის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი შეხვედრაც გაიმართოს.

ლიკა ზაზაშვილი

ერთობა მეცნიერებისა და სარწმუნოების გზაზე

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა მეუფე თეოდორემ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებისა და სტუდენტებისთვის, სწავლის წარმატებით წარმართვისათვის, საფარის მონასტერში საველდრებელი პარაკლისი გადაიხადა. მონასტერში აღვლენილი ლოცვის შემდეგ, სასულიერო და აკადემიური სფეროს წარმომადგენლებმა შეკრებილ საზოგადოებას ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს. ღონისძიებაზე სიტყვით გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ჭეშმარიტი განათლება მხოლოდ აკადემიური ცოდნის დაუფლება არ არის, იგი გონებრივი და სულიერი სიბრძნის შერწყმას გულისხმობს.

პარაკლისს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები დაესწრნენ. პარაკლისის შემდეგ მეუფემ გონებრივი და სულიერი განათლების მნიშვნელობაზე ისაუბრა. როგორც მეუფემ აღნიშნა, განათლება მხოლოდ მეცნიერების დაუფლება არ არის. იგი გონებრივი და სულიერი სიბრძნის შერწყმასა და ქრისტეს ნათელში სუფევას გულისხმობს:

მინდა მოგილოცოთ სწავლის დაწყება. დღეს ღვთის წინაშე აღვავლინეთ ლოცვა, რათა უფალმა განგვიღოს გონება, განგვიღოს გული, რომ მეტად ჩავწვდეთ მეცნიერებას, სიბრძნეს ღვთისას და, რაც ყველაზე მთავარია, მივიღოთ ჭეშმარიტი ნათელი ღვთისა. ეს არის მთავარი დანიშნულება თითოეული ჩვენგანისა. განსაკუთრებულად თქვენ, სტუდენტებო, ახალგაზრდებო, კარგად შეისწავლეთ მეცნიერებანი და, რაც მთავარია, უფლისაგან ითხოვეთ სიბრძნე; სიბრძნის მოხვეჭის სურვილი მნიშვნელოვანია და ამას უნდა ერთობა. სიბრძნის მოხვეჭას, მეცნიერების დაუფლებას და, ამასთან ერთად, არა მხოლოდ გონებრივ განათლებას, არამედ სულიერ განათლებას უნდა ერთობა. ეს ორივე შერწყმულია ერთმანეთთან და არ განცალკევდება ერთმანეთისაგან. ასე უნდა შევიმეცნოთ ქრისტეს ნათელი. განათლება სწორედ ამას ჰქვია. განათლება არ არის მარტო მეცნიერების დაუფლება. ეს არის ქრისტეს ნათელში სუფევა და გისურვებთ ყველას, რომ ეს ნათელი ყოფილიყოს თითოეულ თქვენგანში.

როგორც პარაკლისის შემდეგ პროფესორმა მერაბ ბერიძემ აღნიშნა, ეს დღე უნივერსიტეტისთვის ბედნიერი დღეა, რადგან განათლება და ეკლესია, ერი და სასულიერო დასი ერთად აღნიშნავს სწავლის დაწყებას. ბატონმა მერაბმა ხაზი გაუსვა, რომ უფლის გარეშე ჭეშმარიტი განათლება არ არსებობს და შეკრებილ საზოგადოებას ერთობისა და რწმენისაკენ მოუწოდა:

დღეს ბედნიერი დღეა ჩვენი უნივერსიტეტისთვის. გალობას რომ ვუსმენდით, სარკმლიდან საოცარი სინათლე შემოვიდა და დაგვადგა თავზე. ჩვენთან არის უფალი. სადაც ჩვენი მეუფეა, ჩვენი პატრიარქია, ჩვენი ეკლესიაა, ჩვენ უნდა ვიდგეთ იქ და ამ ლოცვით ჩვენ უნდა შევევწიოთ ერთმანეთს, ვიყოთ ერთად. ჩემი მთავარი რწმენა არის ის, რომ არავითარი განათლება ქვეყანაზე არ არსებობს უფლის გარეშე. ამიტომ, რწმენაში ვეცადოთ, გარდა მეცნიერებისა, უფრო ახლოს ვიყოთ ეკლესიასთან. მიხარია, რომ 1990 წელს ჩვენ დავიწყეთ საქმიანობა ამ მხარეში ერთად. გვინდოდა, რომ ერთად ყოფილიყო განათლება და ეკლესია. ასეც მოხდა, ყოველთვის მხარში უდგას უნივერსიტეტს ჩვენი ეკლესია. მინდა, რომ დღევანდელი დღის მადლი შეგვეწიოს, შეეწიოს ამ დიდ საფარას, ჩვენ დიდ წინაპრებს. უდიდესი მადლობა, მეუფეო, დღევანდელი დღისთვის.

როგორც უნივერსიტეტის რექტორმა, ეკონომიკის დოქტორმა **ვახტანგ თაქთაქიძემ** აღნიშნა, საქართველოს ისტორიაში განათლების კერები მუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამონასტრო ცხოვრებასთან და ეკლესიასთან:

მადლობა, მეუფეო, ამ ბრწყინვალე დღისთვის. საქართველოს ისტორიაში არ არსებობს განათლების კერა, რომელიც მჭიდროდ არ იყო დაკავშირებული სამონასტრო ცხოვრებასთან და ეკლესიასთან. ჩვენ რითაც ვამაყობთ – დღეს ჩვენი მეცნიერებათა აკადემია არის მემკვიდრე გელათის და იყალთოს აკადემიებისა. მიხარია, რომ ჩვენ ახალ სასწავლო წელს ვიწყებთ ამ უწმინდეს ტაძარში, მეუფის ლოცვა-კურთხევით პარაკლისი გადავიხადეთ და შეგვიძლია, ღვთის შეწევნით, შევუდგეთ ამ დიდ საქმეს. ადამიანი ბედნიერი რომ იყოს, აუცილებელია, პიროვნულ თვისებებზე იზრუნოს; თუ თავმდაბალი არ არის ადამიანი, თუ სიკეთეს არ ემსახურება, რაც არ უნდა დიდი ტიტულები ჰქონდეს, წარმატებები ჰქონდეს მეცნიერებაში, ვერც თვითონ იქნება ბედნიერი და ვერც სხვას მიანიჭებს ბედნიერებას. ამიტომ, მთელი უნივერსიტეტის სახელით, უდიდეს მადლობას მოგახსენებთ, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოსეობავ. უნივერსიტეტი ყოველთვის ეცდება, არ უღალატოს იმ ტრადიციას, რასაც ჰქვია ჩვენი ერთობა, საქართველოს ნათელი მომავალი.

საფარის მონასტერში აღვლენილი პარაკლისით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი, რომ ჭეშმარიტი განათლება მეცნიერული ცოდნისა და სულიერი ღირებულებების განუყოფელ კავშირს ეფუძნება, რომ ერისა და ეკლესიის მჭიდრო კავშირი, საუკუნოვანი საგანმანათლებლო ტრადიციების ერთგულება და ახალგაზრდებში თავმდაბლობისა და სიკეთის დანერგვა ჩვენი ქვეყნისა და მომავალი თაობების წარმატების მთავარი საწინდარია.

ლიკა ზაზაშვილი










ახალი სასწავლო წელი საზეიმო ვითარებაში დაიწყო





სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წლის დაწყება საზეიმოდ აღინიშნა. სტუდენტებს, განსაკუთრებით კი პირველკურსელებს, სწავლის დაწყება უნივერსიტეტის რექტორმა **ვახტანგ თაქთაქიძემ**, დეკანებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა მიულოცეს. ღონისძიებაზე, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ჰიმნით გაიხსნა, რექტორმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი, 1990 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად ახალი შემართებით ვითარდება, განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა პირველკურსელთა ახალ სტატუსზე, რომ ისინი უკვე ზრდასრული, დამოუკიდებელი ადამიანები არიან და სკოლის მოსწავლის ეტაპი უკან მოიტოვეს:

მივესალმები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მის სრულ შემადგენლობას, დაწყებული პირველკურსელებით, ჩვენი პროფესორ-მასწავლებლებით გაგრძელებული. დღეს მთელი უნივერსიტეტისთვის სასიხარულო დღეა, ვინაიდან 1990 წლიდან მოყოლებული, ყოველ წელიწადს ჩვენი უნივერსიტეტი ახალი შემართებით აგრძელებს სასწავლო პროცესს. მინდა, განსაკუთრებულად მივულოცო პირველკურსელებს სწავლის დაწყება და ვუთხრა მათ, რომ ჩვენი უნივერსიტეტი გამორჩეული კერაა არა მარტო რეგიონში, არამედ საქართველოში. უნდა ამაყობდეთ, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გახდით. უნივერსიტეტი სკოლა არ არის, აღარ ხართ მოსწავლეები, თქვენ უკვე ზრდასრული, დამოუკიდებელი ადამიანები ხართ და მოგილოცავთ პირველ ნაბიჯებს დამოუკიდებელ ცხოვრებაში. თქვენ აირჩიეთ ჩვენი უნივერსიტეტი. ჩვენ მზად ვართ, გემსახუროთ თქვენ. სტუდენტობა – ეს არის უბრწყინვალესი გზა და მინდა გისურვოთ, რომ მაქსიმალურად ფერადი, მაქსიმალურად დატვირთული, მაქსიმალურად შრომით აღსავსე გქონდეთ ეს წლები, ვინაიდან თითოეულ ადამიანზეა დამოკიდებული, როგორ გამოვიყენებთ იმ დიდ სიკეთეს, რასაც ჩვენი უნივერსიტეტი მოგცემთ.

რექტორმა პარალელი გაავლო მე-19 საუკუნის თერგდალეულებთან და აღნიშნა, რომ დღევანდელ სტუდენტებს, მესხეთიდან გაუსვლელადაც კი, ბევრად მეტი შესაძლებლობა და წვდომა აქვთ თანამედროვე სამეცნიერო ცენტრებთან, ვიდრე თავის დროზე პეტერბურგში წასულ მოღვაწეებს ჰქონდათ: **წარმოიდგინეთ სიტუაცია: მე-19 საუკუნე, ჩვენი უძვირფასესი თერგდალეულები გადადიან კავკასიონის უღელტეხილზე, კავკასიონის მთებს გასცდებიან და მიდიან პეტერბურგს იმისათვის, რომ მიიღონ შესაბამისი განათლება. ეს ადამიანები ბრუნდებიან და სასწაულებს ახდენენ. შემიძლია, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე გითხრათ, რომ თითოეულ სტუდენტს აქვს მეტი შესაძლებლობა, საქართველოსთვის მეტი სიკეთე მოიტანოს, ვიდრე თერგდალეულებს ჰქონდათ თავის დროზე. თქვენ შეგიძლიათ, ჩვენი საყვარელი მესხეთიდან გაუსვლელად, წვდომა გქონდეთ საქართველოს ნებისმიერ კვლევით თუ სამეცნიერო ცენტრთან. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ გაიაზრებთ ამ ოთხი წლის მნიშვნელობას და საკუთარ თავზე აიღებთ პასუხისმგებლობას. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ უკეთესი განათლება გვქონდეს. თითოეული თქვენგანის პასუხისმგებლობაა, რომ უნივერსიტეტი კიდევ უფრო ძლიერი იყოს, ვინაიდან მთელი ადმინისტრაცია, მთელი აკადემიური პერსონალი მომართულია მიზნისთვის, მაგრამ თუ არ იქნება თქვენი მზაობა უკეთესი განათლებისთვის, ჩვენ ვერ მივაღწევთ იმას, რაც აგრერიგად გვწადია. მინდა ადმინისტრაციის სახელით მოგცეთ პირობა იმისა, რომ ჩვენ ვიქნებით არა ბიუროკრატიული დაბრკოლება ამ გზაზე, არამედ თქვენი მეგობრები. ჩვენ მზად ვართ მინდა, გავიხსენო ზოგიერთი დეტალი, თუ როგორ იქმნებოდა უნივერსიტეტი, რომელსაც დღეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰქვია. ჯერ კიდევ კომუნისტური პერიოდია, განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობდა გურამ ენუქიძე. მაშინ გაიხსნა რვა დაწესებულება. ერთ-ერთი იყო ახალციხეში. ფაკულტეტი სამი მიმართულებით იყო წარმოდგენილი: ფილოლოგია, ისტორია, ეკონომიკა, მაგრამ შემდეგ წარიმართა მუშაობა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ გადაწყვიტა, რომ ფაკულტეტის ნაცვლად ახალციხეში ყოფილიყო ფილიალი. ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა სამხრეთ საქართველოსთვის და მთელი ჩვენი ქვეყნისთვის. მახსენდება მაშინდელი დრო, პირველი მიღება. ასე იდგნენ მაშინდელი პირველკურსელები და ეს იყო დიდი სიხარული.**

პროფესორმა ისაუბრა უნივერსიტეტის უწყვეტი განვითარების შესახებ და ახალგაზრდებს მოუწოდა, გამოიყენონ ეს დიდი მასშტაბები საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად: **ჩვენი უნივერსიტეტი, მთელი ისტორიის მანძილზე, იყო და რჩება განვითარებაზე ორიენტირებული. განვითარების მასშტაბები დიდია, შეგიძლიათ ნებისმიერ ადგილას დაანახოთ თქვენი შესაძლებლობები ნებისმიერ ადამიანს. წარმატებას გისურვებთ, ახალგაზრდებო.**

სტუდენტებს სწავლის დაწყება მიულოცეს ფაკულტეტების დეკანებმა: ასოცირებულმა პროფესორმა **ასმათ ევსაიამ**, პროფესორმა **ცისკარა ზარანდიამ**, პროფესორმა **ლევან მაკარაძემ** და ასოცირებულმა პროფესორმა **დავით ხობელიამ**, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსმა, პროფესორმა **ნიკოლოზ ახალკაცმა**, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ნიკო კვარაცხელიამ**, მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის 104-ე ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონის მეთაურმა, ვიცე-პოლკოვნიკმა **გოჩა ბათაძემ**.

* * *

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსში (ახალქალაქი), ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს და წარმატებული აკადემიური წელი უსურვეს: ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **გიორგი ბუცხრიკიძემ**, მეცნიერებისა და სადოქტორო პროგრამების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა პროფესორმა **მერაბ ბერიძემ**, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა **ასმათ ევსაიამ**, ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **ცისკარა ზარანდიამ**, ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ნიკო კვარაცხელიამ**, პროფესორ-მასწავლებლებმა და უფროსკურსელებმა.

ერთი კვირის განმავლობაში, პირველკურსელთა საორიენტაციო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები დეტალურად გაეცვნენ უნივერსიტეტის გარემოს, სასწავლო რესურსებსა და ყველა იმ შესაძლებლობას, რასაც მათ უნივერსიტეტი სთავაზობს.

ლიკა ზაზაშვილი




ინფორმაციები

● **19-23 სექტემბერს,** ERASMUS-EDU-2024-CBHE პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის – **„საქართველოს უნივერსიტეტებში ადრეული ბავშვობის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება“ (Development of Early Childhood Educational Programs in Georgian Universities – DECEP)** – სამუშაო შეხვედრები ჩატარდა ტალინში და ტარტუში.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მონაწილეობა მიიღეს: რექტორის მოადგილემ, პროფესორმა **მაკა ბერიძემ**, განათლების მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ირმა ქურდაძემ** და ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, მოწვეულმა მასწავლებელმა **მარი ნარიმანიძემ**.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კოლეგებს ადრეული განათლების პროგრამების შემუშავების პროცესში საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს.

პროექტის მონაწილეები ეწვივნენ როგორც საგანმანათლებლო და აკადემიურ ინსტიტუციებს, ასევე, საბავშვო ბაღს.

ტალინის მასწავლებლის სახლში შეხვედრაზე მონაწილეები დეტალურად გაეცნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ესტონურ გამოცდილებას. განხილვის ძირითადი თემები იყო: მასწავლებლების მომზადების პროგრამები და კარიერული სქემა; მულტილინგვური განათლების თავისებურებები; სწავლების თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები.

ტარტუს უნივერსიტეტში მიმოიხილეს მულტილინგვური განათლების გამოწვევები და ეფექტიანი სტრატეგიები, გაიზიარეს ესტონელი კოლეგების გამოცდილება და ერთმანეთს საკუთარი მიგნებები წარუდგინეს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა: ადრეულ ასაკში ბილინგვიზმისა და მრავალენოვნების განვითარების თავისებურებებზე, ინდივიდუალურ ტემპსა და ენობრივი გარემოს მნიშვნელობაზე; ორენოვანი ბავშვების ენობრივი უნარების შეფასების ინსტრუმენტზე, რომელიც LITMUS-ის საერთაშორისო ქსელის ბაზაზეა შექმნილი და ადაპტირებულია ესტონურ კონტექსტზე.



ტარტუს „Kellukese“ საბავშვო ბაღში ვიზიტის მიზანი მულტილინგვური სწავლების პროგრამების რეალურ გარემოში განხორციელების პროცესზე დაკვირვება იყო. მონაწილეები დაესწრნენ ჯგუფურ მეცადინეობებს, უშუალოდ ჩაერთნენ აქტივობებში, მოისმინეს საბავშვო ბაღის წარმომადგენლების პრეზენტაციები და გაიზიარეს მათი რეფლექსიები.

● **14-16 სექტემბერს,** აკადემიური კეთილსინდისიერების ევროპული ქსელისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (ETHICS-ERASMUS+ პროექტის კოორდინატორი) ორგანიზებით ბათუმში გაიმართა მე-12 საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით: **„EUROPIAN CONFERENCE ON ETHICS AND INTEGRITY IN ACADEMIA“**. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 35 ქვეყნის 130-ზე მეტმა დელეგატმა, მათ შორის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ETHICS პროექტის წევრებმა: პროფესორებმა – **თინა გელაშვილმა** (პროექტის მენეჯერი) და **ნინო მილაშვილმა**, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა **ხათუნა კვინცხაძემ** და **თეონა ჟუჟუნაძემ**. მოხსენებით – ETHICAL RESPONSIBILITY IN SPECULATIVE METHODS FOR RESEARCH AND TEACHING IN HIGHER EDUCATION, ფართო აუდიტორიის წინაშე წარსდგა **თეონა ჟუჟუნაძე**.

კონფერენციის შემდეგ, 17-18 სექტემბერს, გაგრძელდა პროექტის მე-4, ფინალური კონსორციუმის შეხვედრა, სადაც პროფესორმა თინა გელაშვილმა წარადგინა შემაჯამებელი ანგარიში და ისაუბრა პროექტის ინსტიტუციურ გავლენასა და მდგრადობაზე.



● **29–30 ოქტომბერს,** ათასწლეულის ფონდის ორგანიზებით, გაიმართა პროექტის **„კურსდამთავრებულთა კვლევისა და ჩართულობის სისტემები უმაღლესი და პროფესიული განათლების დაწესებულებებისთვის“** პრეზენტაცია და საორიენტაციო ვორკშოპი.

ღონისძიებაში უნივერსიტეტიდან მონაწილეობდნენ: რექტორის მოადგილე, პროფესორი **მაკა ბერიძე**; განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი **ასმათ ევსაია**; განათლების მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი **ირმა ქურდაძე** და ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, მოწვეული მასწავლებელი **მარი ნარიმანიძე**.

შეხვედრას ესწრებოდნენ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, საგანმანათლებლო ფონდებისა და უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები.

პროექტის მიზანია კურსდამთავრებულებთან მდგრადი თანამშრომლობის სისტემების განვითარება, მათი დასაქმებისა და კარიერული განვითარების შედეგების შესწავლა და მიღებული მონაცემების გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

პროექტს ახორციელებს ათასწლეულის ფონდი – საქართველო, გუდავაძე-ჯატარკაციშვილის ფონდისა და თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის მხარდაჭერით.

ინფორმაციები უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან

ივანე ჯავახიშვილი – ეროვნული თვითშეგნებისა და განათლების სიმბოლო



2026 წელს ქართული საზოგადოება ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 150 წლის იუბილეს აღნიშნავს. ეს თარიღი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქართული მეცნიერების ისტორიისთვის, თითოეული ქართველისთვის, ვისთვისაც განათლება, ეროვნული თვითშეგნება და ქვეყნის განვითარება მნიშვნელოვანი ღირებულებაა.

ივანე ჯავახიშვილი ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელი და მეცნიერი იყო, რომელმაც თავისი ცხოვრება ქართული კულტურის, ისტორიისა და განათლების განვითარებას მიუძღვნა. მისი სახელი განუყოფელია იმ დიდი საქმისგან, რომელმაც ქართულ საზოგადოებას საკუთარი ისტორიის მეცნიერულად შესწავლისა და უმაღლესი განათლების ეროვნული ტრადიციის განმტკიცების შესაძლებლობა მისცა.

1918 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. უნივერსიტეტი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების, თავისუფალი აზროვნებისა და ინტელექტუალური განვითარების სიმბოლოდ იქცა. ივანე ჯავახიშვილისთვის განათლება ქვეყნის მომავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველი იყო. მისი საქმიანობა ნათლად წარმოაჩენს, რომ საზოგადოების წინსვლა ცოდნის, მეცნიერებისა და განათლებაზე ზრუნვის გარეშე შეუძლებელია.

მეცნიერის მოღვაწეობის შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის. მისი განვლილი გზა გვიჩვენებს, რომ ადამიანმა ზნეობრივი ღირებულებებით უნდა იცხოვროს, იყოს პასუხისმგებლიანი საკუთარი საზოგადოების, ქვეყნისა და მომავალი თაობების წინაშე.

ივანე ჯავახიშვილის ეპოქას დღევანდელობას თუ შევადარებთ, დავინახავთ, რომ დროისა და გარემოებების ცვლილების მიუხედავად, განათლების მნიშვნელობა უცვლელი რჩება. იცვლება ტექნოლოგიები, პროფესიული მოთხოვნები და საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევები, თუმცა, ცოდნა კვლავ რჩება იმ საფუძვლად, რომელზეც პიროვნული და საზოგადოებრივი განვითარება შენდება.

ივანე ჯავახიშვილის სახელი ქართული განათლების ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. მას ღრმად სწამდა, რომ ქვეყნის თავისუფლება, პროგრესი და გადარჩენა განათლებულ, ეროვნული ცნობიერების მქონე ახალგაზრდობას შეეძლო.

ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა გვიჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია ისტორიული მოვლენების არა მხოლოდ დამახსოვრება, არამედ მათი გააზრება, მიზეზებისა და შედეგების გამოკვლევა. ისტორიის ცოდნა საზოგადოებას საშუალებას აძლევს, გააცნობიეროს საკუთარი განვითარების გზა, დაინახოს წარსულის გამოცდილება და ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით მიიღოს გააზრებული გადაწყვეტილებები.

უნივერსიტეტის დაარსებით მან ახალგაზრდებს მისცა შესაძლებლობა, მოუწოდა ევროპული დონის აკადემიური სტანდარტებისკენ ეთქვათ უარი დოგმებზე, ესწავლათ კრიტიკული აზროვნება, წყაროების კვლევა და სიმართლის ძიება. დიდი ისტორიკოსი ახალგაზრდობას შთააგონებდა, სიღრმისეულად ესწავლათ საკუთარი ქვეყნის ისტორია, ენა და კულტურა. ივანე ჯავახიშვილის იდეალი იყო ევროპული ყაიდის განათლებული ქართველი, რომელიც მყარად დგას საკუთარ ეროვნულ ნიადაგზე, მაგრამ ამავდროულად ღიაა მსოფლიო პროგრესისა და სიახლეებისთვის. იგი ახალგაზრდებს მოუწოდებდა, არ ჩაკეტილიყვნენ, აეთვისებინათ მსოფლიო მიღწევები და ეს ცოდნა საკუთარი სამშობლოს განვითარებისთვის გამოეყენებინათ.

ეროვნული ღირებულებების პატივისცემა არ ნიშნავს ცვლილებების უარყოფას ან სხვა კულტურებისგან იზოლირებას, პირიქით – საკუთარი იდენტობის გაცნობიერება ქმნის საფუძველს, რომ ადამიანმა მსოფლიო კულტურასა და მეცნიერებაში საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, ახალგაზრდებმა ქართული ისტორია და კულტურული მემკვიდრეობა თანამედროვე ცოდნასთან, ტექნოლოგიურ განვითარებასა და საერთაშორისო გამოცდილებასთან დააკავშირონ.

დღეს, როდესაც გლობალიზაცია ქვეყნებს შორის ურთიერთობებს კიდევ უფრო აძლიერებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საქართველომ შეინარჩუნოს საკუთარი კულტურული და ინტელექტუალური სახე. ამისთვის კი აუცილებელია ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლა, სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერა და ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რომელშიც ახალგაზრდებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა შეეძლებათ.

ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 150 წელი სრულდება; მისი ანდერძი აქტუალურობას არ კარგავს. თანამედროვე ახალგაზრდობისთვის მეცნიერის ცხოვრება არის გზამკვლევი იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო საკუთარ ქვეყანას: გონებით, შრომით, ღირსებითა და უშრეტი ცოდნის წყურვილით.

ივანე ჯავახიშვილის სახელი და მემკვიდრეობა მომავალ თაობებს კვლავ შეახსენებს: ქვეყნის განვითარება იწყება ცოდნის დაფასებით, გრძელდება შრომითა და პასუხისმგებლობით და მტკიცდება მაშინ, როდესაც მიღებული ცოდნა საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმედ იქცევა.

ანა ბერიძე
იურიდიული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი

მრავალწლიანი აკადემიური ტრადიცია და სამეცნიერო დიალოგი

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ორგანიზებით, XVIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. 1873 წელს ანტონ ლორთქიფანიძის მიერ დაარსებული საქართველოს ერთ-ერთი უძველესი წიგნსაცავი და ინტელექტუალური კერა კვლავ აგრძელებს თავის უმნიშვნელოვანეს აკადემიურ მისიას. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკის შენობაში ამჟამად სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, ტრადიცია არ დარღვეულა და წლევანდელ მასშტაბურ სესიებს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა.

კონფერენცია განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და კულტურული მნიშვნელობის მქონე ორ დიდ თარიღს მიეძღვნა: საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლის იუბილეს, მოვლენას, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის ცივილიზაციური და სულიერი ვექტორი და ცნობილი ქართველი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწის, წმინდა შალვა ახალციხელის გარდაცვალებიდან 800 წლისთავს – ეროვნული გმირისა და თავდადების სიმბოლოს ხსოვნას.

სწორედ, ამ უმნიშვნელოვანესი თარიღების გათვალისწინებით, სიმბოლური იყო, რომ წლევანდელი სამეცნიერო ფორუმი სამცხე-ჯავახეთის რეგიონს, მის მდიდარ ისტორიას, კულტურასა და ენობრივ მემკვიდრეობას მიეძღვნა.

კონფერენცია 31 ოქტომბერს ტრადიციულად პლენარული სხდომით გაიხსნა, რის შემდეგაც მუშაობა თემატურ სექციებში გაგრძელდა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და ახალგაზრდა მკვლევართა თაობა. სემინარებსა და დისკუსიებში უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აკადემიური მოხსენებები წარადგინეს: პროფესორი **მერაბ ბერიძე – „საერთო ქართველური ფუძის მქონე ტოპონიმი მილახები მესხეთში“** ; ასოცირებული პროფესორი **მაია ქუქჩიშვილი – „ტაბუ და ევფემიზმი მესხურ დიალექტში – ეთნოლინგვისტური ასპექტები“** ; ასოცირებული პროფესორი **ლამზირა კობაიძე – „მთიულთა მეტყველების ერთი თავისებურების შესახებ სამცხე-ჯავახეთში“** ; ასოცირებული პროფესორი **დალი ბეთხოშვილი** – „გოდერძი – სულიერი სამოღვაწეო სივრცე ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ მიხედვით“ ; ასოცირებული პროფესორი **ვახტანგ ინაური – „წმინდა ნინოს შემოსვლა სამცხე-ჯავახეთში და ქართლის გაქრისტიანება“** ; ასოცირებული პროფესორი **მაყვალა დავითაძე – „პოეტები სოფელ ხიზაბავრიდან“;** ფილოლოგიის დოქტორი **ნინო ზედგინიძე – „ჰაგიოტოპონიმი, როგორც ტოპონიმური ტერმინი“** ; დოქტორანტი **ლელა თელიაშვილი – „ერთი ფუძის მრავალმოდელიანი რეალიზაცია ახალციხის მუნიციპალიტეტის გვარებში“** ; მაგისტრანტი **სალომე ხმალაძე – „ჯავახური დიალექტის თანამედროვე ფონეტიკური პროცესები სოფელ კოთელიის მაგალითზე“** ; მაგისტრანტი **რიმა სუდაძე – „სალიტერატურო ენა და სამცხურ-ჯავახური დიალექტი ციფრულ ეპოქაში: საერთო ენობრივი ცვლილებების კვალდაკვალ“.**



კონფერენციის ფარგლებში გამართულმა შეხვედრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართული სამეცნიერო წრეების მჭიდრო თანამშრომლობა და ხაზი გაუსვა რეგიონული კვლევების მნიშვნელობას ქვეყნის ერთიანი კულტურულ-ისტორიული კონტექსტის შესასწავლად. კონფერენციის სამეცნიერო მასალები, ტრადიციისამებრ, ბიბლიოთეკის ყოველწლიურ სპეციალურ „წელიწდეულში“ დაიბეჭდება.

რიმა სუდაძე
ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი

ბიბლიოთეკა, წიგნები, სიახლეები

ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის რეგულარული შევსება და განახლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნებისმიერი საზოგადოების საგანმანათლებლო, კულტურული და სოციალური განვითარებისთვის. ფონდის მუდმივი განახლების გარეშე ბიბლიოთეკა კარგავს თავის მთავარ ფუნქციას – იყოს აქტუალური ცოდნისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომი წყარო.

სტუდენტებსა და ახალგაზრდა მკვლევრებს სჭირდებათ უახლესი ლიტერატურა ხარისხიანი განათლების მისაღებად და სამეცნიერო ნაშრომების შესასრულებლად.

სწორედ ამიტომ, გრძელდება ტრადიცია და კიდევ მრავალი საინტერესო სახელმძღვანელო შეემატა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს.

შევიძინეთ წიგნები სერიიდან **„კიდევ 15 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო სანამ ცოცხალი ხარ“** : ანე ფრაკი – **„უკანა სახლი“;** მარგარეტ ეტვუდი – **„მხევლის წიგნი“;** ალექსანდრ დიუმა – **„ქალი ხავერდის ყელსაბამით“;** კაუზო იშიგურო – **„არასოდეს გამიშვა“;** პოლ ოსტერი – **„ნიუორკელი ტრილოგია“;** ჰენრიკ სენკევიჩი – **„ვიდრე ჰხვალ?!;** კურტ ვონეგუტი – **„სასაკლაო 5“;** ფრანც კაპკა – **„პროცესი“;** ჰომეროსი – **„ილიადა“;** ჩარლზ დიკენსი – **„მძიმე დროება“;** ჯეინ ოსტინი – **„ემა“**; ნაირა გელაშვილი – **„დედის ოთახი“;** ფრიდრიხ ნიცშე – **„ასე იტყოდა ზარატუსტრა“;** ნიკოლაი გოგოლი – **„მკვდარი სულები“;** ვოლტერი – **„უვიცი ფილოსოფოსი“.**

15-ტომეული მკითხველს საშუალებას აძლევს, ერთი მხრივ, თვალი მიადევნოს თანამედროვე ლიტერატურულ ტენდენციებს და მეორე მხრივ, არ დაივიწყოს კლასიკური ლიტერატურა. დიდი ყურადღებით შერჩეულ თითოეულ წიგნზე მკითხველის ინტერესი და გამოხმაურება საკმაოდ მაღალია.

განვაახლეთ წიგნადი ფონდი სახელმძღვანელოთი – აკაკი შანიძის **„ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“.**

მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოები გადმოგვეცა საჩუქრად სქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობიდან, გამოვყოფდი დოდო ჭუმბურიძის, ხათუნა ქოქრაშვილის, ვაჟა კიკნაძის, ლელა სარალიძის ერთობლივ ნამუშევარს – **„რუსული ოკუპაციის ისტორია საქართველოში“.** წიგნი დაწერილია საისტორიო წყაროებისა და დოკუმენტური მასალების მიხედვით, რომელთა ნაწილი თავად რუსმა ისტორიკოსებმა და მოხელეებმა შეადგინეს.

მოგეხსენებათ, 12 ოქტომბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებითა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, ახალციხის ციხეზე **„მეცნიერების რეგიონული ფესტივალი – 2026“** გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში მოეწყო მრავალფეროვანი სამეცნიერო, საგამოფენო და ინტერაქციული სივრცეები. გამოფენაში მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, რომელსაც წარმოდგენილი ჰქონდა უნიკალური გამოცემები. დიდი მადლიერება გვინდა გამოვხატოთ ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორის ბატონი **ლევან თაქთაქიშვილის** მიმართ. ჩვენთვის სასიხარულოდ, გამოფენაზე წარმოდგენილი ყველა წიგნი საჩუქრად გადაეცა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთკას.

კოლექციაში აღმოჩნდა ღია ბარათების კრებული **„თბილისური ამბავი“,** რომელიც ძალზედ გამორჩეული პროექტია. კრებულში შედის 70 ღია ბარათი და 70 ისტორია, რომლებიც აცოცხლებს ძველი დედაქალაქის უნიკალურ ფოტოისტორიებს, არქიტექტურასა და ყოველდღიურობას.

კოლექციაში აღმოჩნდა ქართული პედაგოგიკის კლასიკოსებიდან – პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ლუარსაბ ბოცვაძის **„თხზულებანი“**-ს სამტომეული, გურამ შარაძის **„ძველი გურია“** ტომი II, **„დაბრუნება“** ტომი 5, ზურაბ სამუშიას **„ჯგეგე – ჯვარნეზის წმინდა გიორგი“, „გენერალი გიორგი კვინტაძე“,** ნიკო სამადაშვილის **კრებული, „ მიხეილ ჯავახიშვილის საქმე“** და სხვა საინტერესო წიგნები.

მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება ჩვენი პროფესორების მიერ გამოცემული სახელმძღვანელოებით, რომლებიც უმეტესად უნივერსიტეტის სტამბაშია დაბეჭდილი. სწორედ, ასეთი ხელშეწყობით მნიშვნელოვნად უმჯობესდება სასწავლო პროცესი. წელს ბიბლიოთეკას შეემატა თეიმურაზ გვარამაძის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო – **„სოფლის მეურნეობაში მექანიზირებულ სამუშაოთა შესრულება და მცენარეთა კვება“.**

კიდევ მრავალი საინტერესო სახელმძღვანელოთი გამდიდრდა ჩვენი სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის უკეთ წარმართვას.



მინდა, მადლობა გადაუხადო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და შესაბამის სამსახურებს, ვინც გვიწევს საჭირო თანადგომას, უნივერსიტეტის წიგნადი ფონდის განახლებისა და გამრავალფეროვნების პროცესში.

ხათუნა კვინცხაძე
ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

გლობალური სამეცნიერო სივრცე და ახალი ჰორიზონტები

დღეს, როდესაც განათლებისა და ინოვაციების გარეშე ქვეყნის მომავლის წარმოდგენა შეუძლებელია, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროპული სამეცნიერო სივრცისკენ კიდევ უფრო მასშტაბურ ნაბიჯებს დგამს. ევროკავშირის უმნიშვნელოვანესი ფლაგმანი პროგრამის „ჰორიზონტი ევროპის“ ადგილობრივი ოფისის ხელმძღვანელად ნინო კარკაძე დაინიშნა. ახალი პოზიცია, ახალი გამოწვევები და უზარმაზარი შესაძლებლობები. როგორ აპირებს უნივერსიტეტის რეგიონული პოტენციალის გლობალურ ასპარეზზე გატანას, რას სთავაზობს პროგრამა სტუდენტებსა და მკვლევრებს და რატომ არის თითოეული იდეა ფასეული, ამის შესახებ გვესაუბრება ქალბატონი ნინო.

– პირველ რიგში, გილოცავთ ახალ პოზიციაზე დანიშვნას, ქალბატონო ნინო. რას ნიშნავს თქვენთვის „ჰორიზონტი ევროპის“ ხელმძღვანელობა და რა იქნება თქვენი საქმიანობის მთავარი პრიორიტეტი?

– უღრმესი მადლობა მოლოცვისათვის. ამ პოზიციაზე დანიშვნა ჩემთვის არ არის უბრალოდ კიდევ ერთი ადმინისტრაციული სტატუსი. ეს არის უდიდესი, ღრმა და სანუკვარი პასუხისმგებლობა, რომელსაც დიდი ხანია ველი და რომლისკენ მიმავალი რთული, მაგრამ საოცარი გზა საკუთარი ძალებით, დაუღალავი შრომითა და თავდადებით გავიარე. ზუსტად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ვიცი, რას ნიშნავს ამ სამეცნიერო გზის დამოუკიდებლად გავლა, როდესაც ყველა ბარიერისა და გამოწვევის პირისპირ მარტო რჩები. სწორედ ამიტომ, დავისახე მთავარი მისია – არცერთი დამწყები მკვლევარი არ გავატარო ეს გზა მარტოს. მე ვიქნები თითოეული მათგანის გვერდით, იდეის პირველი მარცვლიდან დაწყებული, სამეცნიერო პროექტის შექმნამდე, პროექტის საერთაშორისო ასპარეზზე გატანამდე და, რაც მთავარია, ბოლომდე მის გვერდით დავრჩები. ჩვენი საქმიანობის უმთავრეს პრიორიტეტად დავსახავ იმას, რომ არა მხოლოდ ახალგაზრდა და დამწყებ მკვლევრებთან, არამედ უკვე შემდგარ, წამყვან პროფესორ- მასწავლებლებთან ერთად COST-ის (European Cooperation in Science and Technology) სამეცნიერო წრეებში ჩავერთოთ. ეს არის საუკეთესო, ყველაზე ორგანული დასაწყისი დიდი ევროპული სამეცნიერო სივრცისკენ, სადაც ჩვენი მეცნიერები ნაბიჯ-ნაბიჯ, ექსპერტთა მხარდაჭერით გაიკვლევენ გზას საერთაშორისო თანამშრომლობისკენ.

– „ჰორიზონტი ევროპა“ ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის უმნიშვნელოვანესი პროგრამაა. რა შესაძლებლობებს სთავაზობს ის უნივერსიტეტს, მის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს?

– „ჰორიზონტი ევროპა“ წარმოადგენს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის უმნიშვნელოვანეს ფლაგმან პროგრამას, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტის თითოეული მკვლევრისთვის, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტისთვის ფართოდ აღებს კარებს გლობალური სამეცნიერო არენისკენ. ეს არ არის უბრალოდ ფინანსური რესურსების მოპოვების ინსტრუმენტი, ეს არის გლობალური შესაძლებლობა, რომ ჩვენი ადგილობრივი, რეგიონული იდეები და კვლევები გარდავქმნათ ევროპული მასშტაბის მდგრად და ეფექტურ გადაწყვეტილებებად. უნივერსიტეტისთვის ეს ნიშნავს ინსტიტუციურ ტრანსფორმაციას და საერთაშორისო რეპუტაციის მკვეთრ ზრდას, აკადემიური პერსონალისთვის – ევროპელ კოლეგებთან ერთობლივ კვლევებს, მძლავრ პარტნიორობასა და არა, უბრალოდ, დაფინანსებულ პროექტებს, ხოლო სტუდენტებისთვის იმის გააზრებას, რომ მათი აზრი, ახალი ხედვა და ინოვაცია ფასობს არა მხოლოდ ჩვენს აუდიტორიებში, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო ელიტის წინაშე.

– როგორ აპირებთ სტუდენტების ინფორმირებასა და ჩართულობის გაზრდას „ჰორიზონტი ევროპის“ პროგრამაში? ექნებათ თუ არა მათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კვლევით და ინოვაციურ პროექტებში?

– იმისათვის, რომ ინფორმაციამ, მართლაც, მიაღწიოს თითოეულ დაინტერესებულ ახალგაზრდამდე და პროცესი იყოს ცოცხალი, დინამიკური და არა ფორმალური, დავანგრევთ ყოველგვარ ბიუროკრატიულ ბარიერს. ვგეგმავთ სისტემურ და მუდმივ კომუნიკაციას: მინიმუმ, თვეში ერთხელ ჩატარდება მიზნობრივი, ინტერაქტიული საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა მიმართულებით, რომლებიც მთლიანად აკადემიურ და სტუდენტურ ინტერესებზე იქნება აგებული. მინდა, განსაკუთრებით ხაზი გავუსვა იმას, რომ ამ გზაზე ჩვენი მთავარი მოკავშირეა საქართველოს „ჰორიზონტი ევროპის“ ცენტრალური ოფისი, რომელიც მუდმივად ჩვენს გვერდითაა. მათი უდიდესი მხარდაჭერითა და ჩართულობით, უნივერსიტეტში განვახორციელებთ საინტერესო აქტივობებს, პრაქტიკულ ვორქშოფებსა და ტრენინგებს, რომლებიც სტუდენტებსა და მკვლევრებს ზუსტად ასწავლის, თუ როგორ უნდა შეიმუშაონ და წარადგინონ კონკურენტუნარიანი საპროექტო განაცხადები.

– რამდენად მნიშვნელოვანია საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის განვითარებისთვის და როგორ შეიძლება ამ თანამშრომლობის გაღრმავება?

– სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰყავს საოცარი მკვლევრები, პროფესორები და აკადემიური პერსონალი, რომელთა ღირებული და ღრმა კვლევები საუნივერსიტეტო სივრცის მიღმა კვლავ უნდა გავიტანოთ. ჩვენი უნივერსიტეტის რექტორის, ბატონი ვახტანგ თაქთაქიძისა და მთლიანი ადმინისტრაციის პროგრესული ხედვა, უდიდესი ენთუზიაზმი, მხარდაჭერა და ყოველდღიური მონდომება მეხმარება ჩემი საქმიანობისთვის ყველაზე მაღალი ნიშნულის დადებაში. რექტორთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ერთად უკვე ვგეგმავთ კომპლექსურ, ფუნდამენტურ ნაბიჯებს იმისათვის, რომ ძირეულად დავძლიოთ არსებული ბარიერები დაწყებული აკადემიური ინგლისური ენის მხარდაჭერიდან, დამთავრებული საერთაშორისო სამეცნიერო პლატფორმებსა და ქსელებში ინტეგრაციით. ადმინისტრაციასთან ერთიანი ძალისხმევით ჩვენ ვქმნით ისეთ საუნივერსიტეტო გარემოს, სადაც თითოეულ მეცნიერს ექნება სრული პირობა, თავისუფლად გამოიკვლიოს და წარმოაჩინოს თავისი ნაშრომები გლობალურ ასპარეზზე. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა ჩვენთვის არ არის უბრალოდ ფორმალობა. ეს არის ჰაერივით საჭირო, მტკიცე ხიდი, რომელიც ჩვენს კვლევით პოტენციალს ევროპულ სამეცნიერო სივრცეში სრული დატვირთვით გახსნის.



– სამცხე-ჯავახეთი მრავალეთნიკური და მრავალკულტურული რეგიონია, რომელსაც მნიშვნელოვანი ისტორიული, კულტურული და ტურისტული რესურსები აქვს. როგორ შეიძლება ამ თავისებურებების გამოყენება საერთაშორისო კვლევითი პროექტების დაგეგმვისას?

– თუ შევხედავთ ჩვენს ძირითად აკადემიურ მიმართულებებს – აგრონომიას, ვეტერინარიას, ჰუმანიტარულ ფაკულტეტსა და ტურიზმს, თითოეულ მათგანში უზარმაზარი, აუთვისებელი პოტენციალი დევს. აგრონომიისა და ვეტერინარიის მიმართულებით ჩვენ შეგვიძლია ვუპასუხოთ თანამედროვე გამოწვევებს კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობისა და „ერთიანი ჯანმრთელობის“ (One Health) კონცეფციების დანერგვით, რადგან რეგიონის უნიკალური ბუნებრივი და კლიმატური პირობები იდეალურია ამისთვის. ჰუმანიტარული მიმართულებით, ჩვენი რეგიონის მრავალეთნიკური, მრავალკულტურული და მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობა წარმოადგენს უძვირფასეს რესურსს, რომელიც ევროპულ სამეცნიერო სივრცეში ჩვენი იდენტობის ღირსეულად წარმოჩენის საშუალებას მოგვცემს, ხოლო ტურიზმის ფაკულტეტთან ერთად, რეგიონის უნიკალური ტურისტული პოტენციალის საფუძველზე, შევქმნით მდგრადი განვითარებისა და კულტურული ტურიზმის თანამედროვე პროექტებს, რომლებიც რეგიონს ევროპული ტურისტული და სამეცნიერო რუკის სათავეში მოაქცევს.

გარდა ამისა, ჩვენი რეგიონის უნიკალური თავისებურებები გვაძლევს შესაძლებლობას, კვლევებში კიდევ უფრო ფართოდ შემოვიტანოთ თანამედროვე ტექნოლოგიები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. კერძოდ, ხელოვნური ინტელექტის (AI) დანერგვა კულტურული მემკვიდრეობის, მრავალენოვანი არქივებისა და ადგილობრივი ფოლკლორის შესწავლაში სრულიად ახალ ჰორიზონტებს ხსნის ევროპული გრანტებისთვის. თანამედროვე ალგორითმების გამოყენებით შესაძლებელი ხდება ისტორიული არტეფაქტებისა და მატერიალური კულტურის ციფრული ანალიზი, რაც ჩვენს ჰუმანიტარულ პროექტებს სრულიად გლობალურ, თანამედროვე სახეს აძლევს. და ბოლოს, სამცხე-ჯავახეთის გეოგრაფიული და კლიმატური თავისებურებები გვაძლევს განსაკუთრებულ უპირატესობას, საერთაშორისო კვლევით პროექტებში წარმოვადგინოთ ისეთი იშვიათი და მძლავრი მიმართულება, როგორიცაა ასტრონომია. მსოფლიო მასშტაბის სამეცნიერო პოტენციალის მქონე აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია წარმოადგენს ჩვენი უნივერსიტეტისა და რეგიონის უდიდეს სიამაყეს, რომლის ბაზაზეც შესაძლებელია ევროპული კოსმოსური და ასტროფიზიკური ქსელების მასშტაბურ პროექტებში ინტეგრაცია. როგორც უკვე აღვნიშნე, რექტორისა და ადმინისტრაციის სრული მხარდაჭერით, ჩვენ აქტიურად ვიმუშავებთ იმისათვის, რომ ასტრონომიული კვლევები და თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები კიდევ უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ ჩვენს საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრიორიტეტებს, რაც ჩვენს უნივერსიტეტს საერთაშორისო ასპარეზზე სრულიად განსაკუთრებულ ადგილს დაუმკვიდრებს.

– ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისთვის სათანადო პროექტების მომზადებაა. რა მხარდაჭერას მიიღებენ უნივერსიტეტის თანამშრომლები საპროექტო განაცხადების შემუშავებისა და საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის პროცესში?

– ჩვენს მკვლევრებს ხშირად აქვთ პრაქტიკული და ძალიან მტკივნეული ხასიათის დაბრკოლებებიც, იქნება ეს სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების მაღალი ხარჯები თუ საერთაშორისო კონფერენციებში ფიზიკური მონაწილეობა. ჩვენ აქტიურად და დაუღალავად მივაწვდით ინფორმაციას აკადემიურ საზოგადოებას, რომ COST-ის გრანტებით ეს ყველაფერი სრულად დაფინანსებადია! პროგრამა სრულად ფარავს როგორც მგზავრობისა და საველე მისიების, ისე ტრენინგ სკოლებისა და მაღალრეიტინგული პუბლიკაციების ხარჯებს. ჩვენი საგრანტო ოფისი ზუსტად იმისთვის შეიქმნა, რომ ეს ფინანსური და ორგანიზაციული მექანიზმები ხელმისაწვდომი და მარტივი გავხადოთ თითოეული მკვლევრისთვის. წელიწადში მინიმუმ ორჯერ ჰორიზონტი ევროპის ცენტრალური ოფისი პროექტების წერის ბუთქემფებს აწყობს, სადაც მონაწილეობა ყველას შეგვიძლია, თან სრულიად უფასოდ და სერთიფიცირებით. ეს, დამეთანხმებით, უდიდესი ფუფუნებაა დამწყებთათვის. ჩვენი ხედვა არ შემოიფარგლება მხოლოდ აუდიტორიებით. ვგეგმავთ ღრმა, სტრატეგიულ თანამშრომლობას ადგილობრივ სკოლებთან, თვითმმართველობასთან, ფერმერებსა და ბიზნესსექტორთან. ეს არის ერთიანი და შეკრული ჯაჭვი – განათლება, ბიზნესი, ადგილობრივი თვითმმართველობა და მეცნიერება, რომლებიც ერთად ემსახურებიან ჩვენი რეგიონისა და ქვეყნის წინსვლას. საოცარი პროექტები და რეალური ცვლილებები გველოდება, თუკი ჩვენი პროფესორები, მკვლევრები და სტუდენტები ერთობლივად და გულით ჩაერთვებიან ამ პროცესში, რადგან ჩვენს უნივერსიტეტში თითოეულ ადამიანს და თითოეულ იდეას უზარმაზარი ფასი და მნიშვნელობა აქვს. მჯერა, როდესაც საქმეს გულით, უდიდესი სიკეთითა და თითოეული ადამიანის რწმენით აკეთებ, შეუძლებელი არაფერია. ჩვენი უნივერსიტეტის კარი, ჩვენს საგრანტო ოფისთან ერთად, ფართოდ ღიაა ყველასთვის, ვისაც უნდა, რომ საკუთარი კვალი დატოვოს მეცნიერებაში. მე ყოველთვის ვიქნები იმ ადამიანების გვერდით, ვისაც სჯერა, რომ ჩვენი ცოდნითა და ერთობლივი ძალისხმევით ამ სამყაროს უკეთესს გავხდით.

– მადლობა, ქალბატონო ნინო, საინტერესო ინფორმაციის მოწოდებისათვის.

– მადლობა, თქვენ „ჰორიზონტი ოფისის“ საქმიანობით დაინტერესებისათვის.

ინტერვიუერი
ლიკა ზაზაშვილი

„თეატრი უნდა აჰყვეს ქვეყნის სუნთქვას...“

ვესაუბრებით მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს მანუჩარ გოგოლაურს

– ბატონო მანუჩარ, ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩვენი მკითხველი უდიდეს სიამოვნებას მიიღებს თქვენი ინტერვიუს კითხვისას. მინდა გკითხოთ, როგორ გახსენდებათ თეატრის პირველი დღე?

– პირველი დღე ძალიან დიდი ხნის, დაახლოებით, 30 წლის წინ იყო. მაშინ აქ (ჩვენი უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებული) ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. შემთხვევით აღმოვჩნდი თეატრალურ სტუდიაში – სტუდენტებს მოყვარულთა დასში იწვევდნენ. მეც მივედი და... დავრჩი თეატრში. ასე შევიძინე მეორე პროფესია.

სხვების მსგავსად, ჩემთვისაც პირველი როლი იყო ყველაზე დასამახსოვრებელი, ერთ-ერთ ქართულ კომედიაში – „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, მოსამსახურის როლი ვითამაშე. მას შემდეგ, აგერ, უკვე 30 წელია, ვდგავარ სცენაზე.

– რა იყო ის ინსპირაცია, რამაც გადაგაწყვეტინათ, რომ მისულიყავით სტუდიაში და დასის ნაწილი გამხდარიყავით?

– იცით, ასე უბრალოდ, თითქოს, თავისთავად მოხდა; იმისთვის, რომ ლექციების მერე თავისუფალი დრო საინტერესოდ გამომეყენებინა, ეს შესანიშნავი შესაძლებლობა იყო, ხოლო თეატრში მოსვლისა და აქაური გარემოს შეცნობის შემდეგ გადავწყვიტე, სამსახიობო კუთხით წავსულიყავი. რა თქმა უნდა, ჩემი პროფესიითაც ვიმუშავე, რამდენიმე ტელევიზიის კორესპონდენტი ვიყავი ჩვენს რეგიონში, სამცხე-ჯავახეთში. პარალელურად ვუთავსებდი ამ ორ საქმიანობას ერთმანეთს, მაგრამ შემდეგ ისე მოხდა, რომ თავი დავანებე ჟურნალისტიკას და დღეს მხოლოდ თეატრში ვარ.

– დასაწყისიდან, პირველი დღიდან ამ დღემდე, როგორი იყო პროცესი?

– ადვილი არ ყოფილა. დაახლოებით, 1996 წელს მოვედი თეატრში; მაშინ არა მარტო თეატრს, არამედ მთლიანად ქვეყანას, ქალაქსა და მაყურებელს უჭირდა; იყო მომენტები, როდესაც შუა სპექტაკლის დროს ითიშებოდა შუქი. ზოგჯერ ისეც ყოფილა, რომ ხელფასი შვიდ თვეში ერთხელ ამიღია, მაგრამ საქმისადმი უზომო სიყვარულმა და პასუხისმგებლობის გრძნობამ – ,,აქ უნდა ვიყო, სხვანაირად აღარ შეიძლება“, ყველაფერი შემაძლებინა. რა თქმა უნდა, იყო ბედნიერი წუთებიც. როდესაც როლს თამაშობ, მაყურებელი ფეხზე გიდგება და ტაშს გიკრავს, ამაზე ბედნიერება რა შეიძლება იყოს. ყველაფერს აქვს თავისი დადებითიც და უარყოფითიც.

ბევრი ბედნიერი წუთები გვქონია, მაგრამ წარმოუდგენელი გაჭირვებაც იყო... მართალია, დღეს არსებულის შედარება არ შეიძლება იმასთან, რაც იყო, რასაც ახლა ვიხსენებთ, მაგრამ ასეა ამ პროფესიაში – თუ არ გაგიჭირდა და არ გაიჭირვე, წინ ვერ წახვალ, ვერაფერს ვერ მოახერხებ. ჩემი აზრით, ყველა პროფესიაში ასეა, თუმცა, აქ განსაკუთრებით საჭიროა: შრომა, შრომა და შრომა. სხვანაირ პასუხისმგებლობას მოითხოვს მსახიობობა, ეს არ არის ინდივიდუალური პროფესია, ეს გუნდური საქმიანობაა და როდესაც შენს გამო გუნდი საქმეს ვერ აკეთებს... უდიდესი პასუხისმგებლობა გვაქვს ერთმანეთის წინაშე და ყველა ვცდილობთ, გუნდურად ვიმუშაოთ.

– მშობლიურ სცენაზე დგომისას სხვა ემოციები გეუფლებათ?

– ეს ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო რამ არის. როდესაც გასტროლზე მიდიხარ, სხვადასხვა რეგიონსა თუ ქვეყანაში ხარ, არ იცი, იქ როგორი მაყურებელია, არ იცნობ მას, ხოლო აქ, სადაც მსახიობად თეატრის ერთგული მაყურებლის წინაშე აღიზარდე და შენი თითქმის ყველა როლი და სპექტაკლი აქვს ნანახი, ყველა პრემიერას ესწრება, განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა.

ყოველდღიურად, საკუთარ ქალაქში, გიწევს იმ ადამიანებთან ურთიერთობა, ვინც სცენაზე გხედავს, ამიტომ, როგორც სცენაზე, ისე ცხოვრებაში უდიდესი პასუხისმგებლობა მოგეთხოვება. როდესაც სცენაზე მაყურებელი სხვა თვალით გიყურებს, ცხოვრებაში არ უნდა შეგხედოს დაკნინებულს, დამდაბლებულ ადგილზე მყოფს, რადგან თეატრში მაღალზე დგახარ. პირველ რიგში, ეს საკუთარი მაყურებლის წინაშეა უდიდესი პასუხისმგებლობა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ახალციხის მაყურებელი ერთ-ერთი გამორჩეულია თეატრალური ცოდნის კუთხით. ეს არაერთ თეატრს აღუნიშნავს კიდეც.

– როგორც ვიცი, ფილმებსა და სერიალებშიც ითამაშეთ რამდენჯერმე.

– ფილმებში იმდენად არა, სერიალში – „ჩემი ცოლის დაქალები“, ვითამაშე სამიოთხი სეზონი; ფილმშიც რამდენიმე უცხოური პროექტი იყო და იქ მქონდა ეპიზოდური როლები, სერიოზულში არ მითამაშია, ჯერჯერობით. ძირითადად, თეატრში ვთამაშობ, თეატრის მსახიობი ვარ.

– სხვაობა დიდია თეატრსა და კინოს შორის?

– დიახ, სხვაობა დიდია, რადგან თეატრი ცოცხალი ორგანიზმია. როდესაც სცენაზე, თეატრში, სპექტაკლს უყურებ, იმას ვერ გააჩერებ, ხოლო გადაღების დროს ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი, რომ გაჩერდეს კამერა, მოიწესრიგო თავი... თეატრს არ აქვს ეს; უწყვეტი პროცესი დაწყებიდან დასრულებამდე ბოლომდე უნდა გაიარო. სხვა მხრივ, პასუხისმგებლობები, ვალდებულებები და პროფესიაც ერთი და იგივეა, არცერთგან შეიძლება დაგვიანება, შინაგანაწესის დარღვევა. ორივე გუნდური სამუშაოა.



– გაქვთ განსაკუთრებით სახასიათო, „თქვენეული“ როლი?

– მაგ კითხვაზე პასუხი არ მაქვს კონკრეტული. მე, როგორც მსახიობს, არასდროს მქონია საოცნებო როლი. არ მითქვამს, რომ აი, ეს ვითამაშო და მორჩა, ეს არის ყველაფერი... ასე აეწყო, უამრავი როლი მაქვს ნათამაშები, მაგრამ კონკრეტულ დროსა და როლს შესაბამის ხასიათს ვუსადაგებ, რადგან ის მოცემულობა იმ მომენტში ასე მკარნახობს – ესაა საჭირო! ყველა როლი, რომელიც კი ვითამაშე, თუ რამე ცუდი მოგონება არ მაკავშირებს მასთან, ერთნაირად საყვარელი და სასიამოვნოა, კარგ ემოციებს ვიღებდი მათი შესრულებით. როგორც გითხარით, როდესაც ნულიდან იწყებ სახის შექმნას, ყოველთვის საინტერესოა. თუნდაც, ბუჩქი ითამაშო, ან მოსამსახურე, ან მეფე, ან უფლისწული, ყველა როლი საოცნებო და საინტერესოდ გასაკეთებელია.

– თქვენი აზრით, მსახიობობა გამოუშავებადი უნარია თუ თანდაყოლილი ნიჭი?

– მაგალითად, ძალიან ბევრ კინოვარსკვლავს კინოგანათლება სულაც არ ჰქონია, უბრალოდ, ტიპაჟი მოეწონა რეჟისორს, ან ჩემსავით, შემთხვევით მოხვდა სტუდიაში; ეს ამ პროფესიაში განსაკუთრებით ხშირად ხდება. თუ დავკონკრეტდებით, მაგალითად, ყველა ქართველი თამაშობს ერთხელ მაინც. სუფრის თამადა რომ ავიღოთ, ისიც კი თამაშობს, მასაც აქვს მსახიობის ნიჭი – სუფრის ერთიანობა უნდა შეინარჩუნოს. ქართველ ადამიანში დიდი არტისტული ნიჭია, ამიტომაც არცერთი პროფესიის წარმომადგენელს არ უჭირს თამაში. ერთ როლს მაინც ითამაშებს ისე, რომ მაყურებელს სამუდამოდ დაამახსოვროს თავი.

აუცილებელია თეატრალური განათლება, როდესაც ამ პროფესიაშია ადამიანი, მაგრამ, საბედნიეროდ, შეიძლია ვთქვა, რომ ბევრ ისეთ რეჟისორთან მომიწია ურთიერთობა და თანამშრომლობა, ვინც თეატრალურ უნივერსიტეტში ასწავლიდნენ, პედაგოგები იყვნენ და მათთან თითოეული რეპეტიცია ჩემთვის ლექცია იყო... ვფიქრობ, მაინც სასურველია, თეატრალური განათლება ჰქონდეს მომავალ მსახიობს. თუმცა, სრულყოფილი და არა ისეთი განათლება, როგორსაც ადრე აძლევდნენ თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებს. ჩემი ბევრი კოლეგისგან გამიგია, რომ ლექციებზე არ დადიოდნენ, გაჭირვება იყო და ლექციისთვის არც სტუდენტს ეცალა და არც ლექტორს. იყო ასეთი ბევრი შემთხვევა. ახლა, საბედნიეროდ, ეს უკვე აღმოფხვრილია. მართალია, ვფიქრობ, რომ სასურველია, მსახიობს ჰქონდეს შესაბამისი განათლება, მაგრამ საბოლოოდ მაინც შრომისმოყვარეობა და მონდომება დიდწილად აძლევს ადამიანს საშუალებას, თავისი სიტყვა თქვას ამ პროფესიაში.

– სტერეოტიპია იმ ერთგვარი რიტუალის არსებობა, რომელსაც, მსახიობთა ნაწილი, თითქოს, როლში შესვლისთვის იყენებს?

– დიახ, ვფიქრობ ეს სტერეოტიპია, ძველი სკოლის გადმონაშთი. კი, როდესაც ამ პროფესიაში ხარ, განსხვავებულ ადამიანებსა და ტიპაჟებზე, შენდა უნებურად, გაგექცევა თვალი – იქიდან რაღაც აიღო, ჩაეჭიდო და შეინახო, რათა შემდგომ გამოგადგეს, მაგრამ როლზე, კონკრეტულ გმირზე მუშაობისას, მდუმარე ოთახში ჩაკეტვებისა და რიტუალების არ მჯერა; სიმართლე გითხრათ, როლში ვარ შესული და ასე შემდეგ... არც ეგ არ მჯერა. როლში ყოფნაა, როდესაც პარტნიორს უსმენ, ტექსტი, მოქმედება და ელემენტარულად ის იცი, რომ მაყურებელს სიტყვა უნდა გააგებინო, ის ამბავი, რომელიც ოდესღაც, თუნდაც, ჩეხოვმა დაწერა, მასთან უნდა მიიტანო. არ ვიცი, ძველებმა იციან ეს – როლში ვიყავი, ვეღარ გამოვედი, იქ დავრჩი და ასე შემდეგო. ალბათ, მე რომ ძირითადი პროფესიით მსახიობი არ ვარ, ვერ შევდივარ და ვინც შევიდა და დარჩა იქ, ღმერთმა გაუმარჯოს.

– წლებთან ერთად რა იცვლება ქართულ თეატრში?

– წლებთან ერთად, ჩვენდა სამწუხაროდ, ქართულ თეატრში ბევრი არაფერი იცვლება. ჩემი გადმოსახედიდან, ქართული თეატრი დღეს რაღაც ეტაპზეა გაჩერებული, გაყინული, თითქოს, თანამედროვე თეატრს ჩამორჩა. ფეხის აწყობა უჭირს... არა მარტო ჩემი, არამედ სხვა თეატრების მაგალითზეც შემიძლია ვთქვა, რადგან 21-ე საუკუნეში თანამედროვე თეატრი სხვაგანაა, ჩვენ ძველი, კომუნისტური გადმონაშთებით ვხელმძღვანელობთ. არ მინდა ვინმემ ცუდად გამიგოს, მაგრამ რასაც ვუყურებ და ვხედავ, ასეა. ქართულ თეატრს აკლია განვითარება, ხელშეწყობა იმისგან, ვისაც ეს ხელეწიფება. შეიძლება ხელშეწყობა სახელმწიფოსგან ზომაზე მეტი აქვს და ადგილობრივად თეატრები ვერ ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას. ზოგჯერ ასეა, ზოგჯერ დაფინანსების გამოა, ნორმალურად მუშაობს, მაგრამ არ აქვს საშუალება უცხოურ მაყურებელს შეხვდეს, გასტროლზე წავიდეს. ბევრი პრობლემაა, რაზე საუბარიც არ მინდა, ეს ყველაფერი შიდა სამზარეულოა, მაგრამ ვთვლი, რომ ქართული თეატრი თანამედროვე თეატრს ცოტათი ჩამორჩება.

– ამ ყველაფრის აღმოფხვრის გზა როგორ გესახებათ?



– თეატრში მარტივად არაფერი ხდება. ქართულ თეატრს დღეს სრული რეორგანიზაცია და რეფორმა სჭირდება; როგორც ახლა მუშაობს თეატრი სახელმწიფო დაფინანსებაზე – აძლევს თანხას და როგორც გინდა, დახარჯე... ასე არც ევროპულ და არც ამერიკულ თეატრში არ ხდება. ისევ ვიტყვი, რომ ეს არის ძველი დროის გადმონაშთი, როდესაც სპექტაკლზე გადასახადების გადამხდელების თანხას ხარჯავ, რაც ქვეყნის ბიუჯეტია – ეს 30 000 თუ 50 000 იქნება, მისი რაღაც ნაწილი მინც უნდა შეიტანო უკან, ბიუჯეტში. როდესაც ამას არ აკეთებს თეატრი, ჩემი აზრით, არამართებულია, ამაზე მენეჯმენტმა უნდა იმუშაოს. როდესაც თეატრს სახელმწიფო 50 000 ლარს აძლევს სპექტაკლის დადგმაზე, 20 000 მაინც უნდა დააბრუნოს მონაგების სახით უკან. მაყურებლის ემოციებიანად, ყველაფერი ერთად, 30 000 ლარამდე მაინც უნდა შეიკრას.

წამგებიანი საქმეა, ეს პროფესია არ არის იმისთვის, რომ ვიღაცამ აქ ფული იშოვოს. თეატრში ვერ გამდიდრდები, მაგრამ ამ შემთხვევაში, ნებისმიერი ქართული თეატრის ხელმძღვანელობას ცოტა მეტი მოეთხოვება. მენეჯმენტი უნდა დაფიქრდეს იმაზე, რომ უნივერსიტეტში როდესაც თეატრი გაქვს და სტუდენტი ვერ მოგყავს სპექტაკლზე, ცოტა აცდენაა რაღაცებში.

– უამრავი სირთულის მიუხედავად, არჩეულ გზას შეუპოვრად მიუყვებით. რა გაძლევთ ამის ძალას?

– ისევ და ისევ, ის წლები, საქმისადმი სიყვარული და მომავლის იმედი, რომელიც თითოეულ ქართველ მსახიობს აქვს – გამოსწორდება სიტუაცია, როგორც ქვეყანაში, ისე თეატრში. რა თქმა უნდა, ქვეყანაში თუ ქალაქში არსებულ ნებისმიერ მდგომარეობას ირეკლავს თეატრი. არ ვთვლი, რომ თეატრი აპოლიტიკური ორგანიზაციაა, რადგან ის და სცენა ყველაზე უფრო პოლიტიკურია, რადგან თეატრიც იმიტომ შეიქმნა, რომ მეფის კარზე სიმართლეს ყველაზე უკეთ სწორედ მსახიობები ამბობდნენ. მე არ ვთვლი, რომ არ ეხება პოლიტიკა თეატრს. საბოლოო ჯამში, იმედი და მომავლის რწმენაა, რომ გამოსწორდება რამე.

– თეატრის მთავარი დანიშნულებაც ეს არის...

– თეატრი უნდა აჰყვეს ქვეყნის სუნთქვას, ის უნდა იყოს მისი სარკე. როდესაც მშიერი ადამიანი გყავს და შენ არცერთ სპექტაკლში არ ამახვილებ ყურადღებას, როდესაც სოციალურ სპექტაკლს არ აკეთებ, ტაშფანდური გაქვს სცენაზე ისე, თითქოს არაფერი არ ხდება... ასეთი თეატრი, ჩემი აზრით, არის მკვდარი, კარის თეატრს ჰგავს – მოდი ისე წარმოვაჩინოთ, თითქოს ყველაფერი კარგად არის, ბავშვები არ შიმშილობენ, ხალხი ქვეყნიდან არ გარბის... თუ ქვეყნის ნებისმიერ მდგომარეობას არ უწყობს ფეხს თეატრი, ჩემთვის ის მკვდარია. ამიტომ სასურველია, რომ ნებისმიერ დროს თითოეულმა მსახიობმა ხმა ამოიღოს მისი კოლეგის მიმართ განხორციელებული ზეწოლისა თუ სხვა რამის გამო, თავისი აზრი დააფიქროს ქუჩიდან, სპექტაკლიდან თუ სცენიდან, ნებისმიერ რამეზე გამოხატოს პროტესტი, როდესაც თავის ქვეყანასა თუ საქმეში რამე შეუსაბამოდ ხდება. ეს არის, პირველ რიგში, ჟურნალისტისა თუ მსახიობის მოვალეობა. ამიტომ ვარ ამ ორ პროფესიაში და ამიტომ მიყვარს ისინი ასე ძალიან. ამ პროფესიის წარმომადგენელი ყოველთვის სიმართლეს უნდა ამბობდეს და ასახავდეს ქვეყნის მდგომარეობას, რაც, სამწუხაროდ, არ ხდება.

– ქართველ და უცხოელ მაყურებელს შორის კონტრასტი დიდია?

– ევროპელ მაყურებელთან არ მქონია შეხება, ძირითადად, პოსტ-საბჭოთა ქვეყნების, უკრინელ, ყაზახ, აზერბიჯანელ, ბელორუს და სომეხ მაყურებელთან მქონდა კვეთა. ყველა ერის მაყურებელი ერთ თარგზეა მოჭრილი – როდესაც ის ფულს იხდის, უნდა შენგან ემოციის მიღება, სიამოვნების მიღება. თუმცა, ქართველები ემოციური ხალხი ვართ, ჩვენი მაყურებელი ყველაფერს, თუნდაც, ქართულ კლასიკურ პიესას, უფრო ემოციურად იღებს. როდესაც უცხოელ მაყურებელთან ხარ, ისინი პირიქით, ჩვენგან ელიან ემოციას. მათ იციან, რომ ჩვენ, ქართველები, ემოციური ხალხი ვართ. მაგალითად, უკრაინაში გვქონდა ერთხელ უკრაინელი დრამატურგის ივან ფრანკოს პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი. მათთვის ის ისეთივეა, როგორც ჩვენთვის ვაჟა ფშაველა, მისი ყველა ნაწარმოები კლასიკაა. სპექტაკლის შემდგომ განხილვისას გვითხრეს, რომ სულ სხვა მუხტი და სტიმული მოდიოდა, რადგან ქართველმა მამაკაცებმა ითამაშეს და არა უკრაინელებმაო. სხვაობა განსხვავებული ტემპერამენტია მსახიობებსა და მაყურებელს შორის, რომელი ერი როგორ აკეთებს სპექტაკლს.

– ახლა თქვენს წინ რომ თქვენი პატარა „მე“ იყოს, რას ურჩევდით?

– გააკეთოს ყველაფერი, რომ უკეთესი თეატრი გვქონდეს. მეც დავაკელი, ალბათ, რაღაცები. ყველაფერს ჭრელ ფერებში ვხედავდი მაშინ, ამ გადმოსახედიდან კი, უფრო მეტს გავაკეთებდი.

– მომავალ მსახიობებს?

– თუ ამ პროფესიაში სურს ადამიანს მოსვლა, უპირველესად, საქმის სიყვარული სჭირდება, ვერ გამდიდრდება. ჯერჯერობით, თუ ჰოლივუდის პროექტში არ ითამაშე და სასწაულებრივად არ გაგიმართლა, საქართველოში ვერ გამდიდრდები. ეს საქმე უნდა გიყვარდეს, სხვანაირად არ გამოვა არაფერი.

– დიდი მადლობა, ბატონო მანუჩარ.

– მადლობა თქვენ.

ინტერვიუერი
ნატალია ვარდიძე



ახალგაზრდები მშვიდობისთვის

21 სექტემბერს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამინისტროს პროექტის **„ახალგაზრდების როლი მშვიდობის მშენებლობასა და ნდობის აღდგენაში“** მონაწილეებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულმა აფხაზურმა ცენტრმა **„მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“** უმასპინძლა.

ვიზიტის მიზანს ახალგაზრდებისთვის ცენტრის საქმიანობის, მისი საგანმანათლებლო და კულტურული მიმართულებების გაცნობა და მშვიდობის მშენებლობისა და ნდობის აღდგენის პროცესში ახალგაზრდების როლზე მსჯელობა წარმოადგენდა.

სტუმრებს მეცნიერებისა და სადოქტორო პროგრამების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი **მერაბ ბერიძე** და უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი **მაკა ბერიძე** შეხვდნენ. პროექტის მონაწილეებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის მუზეუმი და გაეცნენ მის საგანმანათლებლო და კულტურულ მემკვიდრეობას.

ვიზიტი აფხაზურ ცენტრში „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ გაგრძელდა. ცენტრის საქმიანობა, მისი მიზნები და ახალგაზრდული მიმართულებები სტუმრებს ცენტრის ხელმძღვანელმა **რიმა სუდაძემ** და ხელმძღვანელის მოადგილემ **თენგიზ მელიქიძემ** გააცნეს.

შეხვედრის ფარგლებში, სტუმრებმა დაათვალიერეს ცენტრის საგანმანათლებლო და კულტურული სივრცე, სადაც თავმოყრილია აფხაზეთთან დაკავშირებული ლიტერატურა, სამეცნიერო გამოცემები, სხვადასხვა ნამუშევარი და ფოლკლორული მასალები. საუბარი შეეხო ახალგაზრდების როლს მშვიდობის მშენებლობის პროცესში, დიალოგის მნიშვნელობასა და ნდობის აღდგენის შესაძლებლობებს.

შეხვედრამ ახალგაზრდებს შეაძლებლობა მისცა, დაესვათ კითხვები, გაეზიარებინათ მოსაზრებები, გამოცდილება და ემსჯელათ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ახალგაზრდული ინიციატივები მშვიდობის კულტურის განმტკიცებასა და ურთიერთგაგების გაღრმავებას ემსახურებოდეს.

ვიზიტის დასასრულს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამინისტროსგან აფხაზურ ცენტრს საჩუქრად გადაეცა აფხაზური ჰიტების გაციფრულებული კრებული. აღნიშნული გამოცემა ცენტრის საგანმანათლებლო და კულტურული ფონდისთვის მნიშვნელოვანი შენაძენია და მომავალში ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო რესურსის სახით იქნება გამოყენებული.

აფხაზური ცენტრი „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ აგრძელებს ახალგაზრდებისთვის განათლების, კულტურული გაცვლის, დიალოგისა და მშვიდობის თემებზე მუშაობას. მსგავსი შეხვედრები ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებას, ახალგაზრდების ჩართულობის გაძლიერებას და მშვიდობის კულტურის განვითარებას.

რიმა სუდაძე
ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის I კურსი

ქართული ისტორიული მემკვიდრეობა და მისი დაცვა



ხულუტის ციხე-დარბაზი

წარსულის შენარჩუნება მხოლოდ ისტორიის პატივისცემა არ არის, ეს მომავლისთვის საკუთარი იდენტობის გადაცემაა. საქართველოს ისტორია მრავალსაუკუნოვანი კულტურული გამოცდილების, სახელმწიფოებრივი განვითარების, ბრძოლების, აღმავლობისა და მძიმე ისტორიული პერიოდების ერთობლიობაა. ამ ისტორიის მატერიალურ და სულიერ კვალს დღეს ქართული კულტურული მემკვიდრეობა წარმოადგენს. ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ტაძრები, ციხე-სიმაგრეები, ისტორიული ქალაქები, არქეოლოგიური ძეგლები, მუზეუმები, ხელნაწერები, ხალხური ტრადიციები და სხვა კულტურული ფასეულობები მხოლოდ წარსულის ნაშთები არ არის. ისინი ქართველი საზოგადოების ისტორიული მეხსიერების მნიშვნელოვანი ნაწილია და გვიჩვენებს, თუ ვინ ვიყავით, ვინ ვართ და რა ღირებულებების შენარჩუნება გვსურს მომავალში.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა განსაკუთრებით მრავალფეროვანია. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილი ისტორიული ძეგლები განსხვავებული ეპოქებისა და კულტურული პროცესების შესახებ გვიყვებს. – მცხეთის ისტორიული ძეგლები, გელათის მონასტერი და ზემო სვანეთი UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი. ეს ფაქტი მხოლოდ საერთაშორისო აღიარებას არ ნიშნავს, იგი საქართველოს აკისრებს მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას, რომ ეს ფასეულობები სათანადოდ შეინარჩუნოს და მომავალ თაობებს გადასცეს.

კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა მხოლოდ მისი არქიტექტურული ან ესთეტიკური ღირებულებით არ განისაზღვრება. თითოეული ისტორიული ძეგლი კონკრეტულ ეპოქასთან, ადამიანებთან და მოვლენებთან არის დაკავშირებული. ტაძრის კედლები, ციხის ნანგრევები, ძველი ქალაქის ქუჩები თუ არქეოლოგიური აღმოჩენები ისტორიის ერთგვარ მატიანეს ქმნიან. სწორედ ამიტომ მათი დაზიანება ან განადგურება მხოლოდ მატერიალური ობიექტის დაკარგვას არ ნიშნავს; ამ დროს იკარგება ისტორიული მეხსიერების გარკვეული ნაწილიც. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტორიული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლა და სათანადო მოვლა.

ძეგლის შენარჩუნება მხოლოდ მისი გარეგნული სახის აღდგენას არ გულისხმობს. აუცილებელია მისი ისტორიული ავთენტურობის, არქიტექტურული თავისებურებებისა და კულტურული მნიშვნელობის გათვალისწინება. არასათანადო ჩარევამ შეიძლება, ძეგლის თავდაპირველი სახე და ისტორიული ღირებულება დააზიანოს. UNESCO-ს მონაცემებიც აჩვენებს, რომ საქართველოს არაერთი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის კონსერვაციასა და მართვასთან დაკავშირებით, წლების განმავლობაში, მიმდინარეობდა საერთაშორისო მონიტორინგი და პროფესიული თანამშრომლობა.

ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე საუბრისას არ უნდა დავივიწყოთ არამატერიალური მემკვიდრეობაც. ქართული მრავალხმიანი სიმღერა, ტრადიციული ქვევრის ღვინის დამზადების მეთოდი, ქართული ანბანის სამი დამწერლობის ცოცხალი კულტურა, ჭიდაობა და ქართული ხორბლის კულტურასთან დაკავშირებული ტრადიციები იმ კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია, რომელიც არა შენობაში ან ნივთში, არამედ ადამიანების ცოდნაში, უნარებში, წეს-ჩვეულებებსა და თაობიდან თაობაზე გადაცემულ გამოცდილებაში ცხოვრობს.

UNESCO-ს მონაცემებით, საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ხუთი ელემენტი შესაბამის საერთაშორისო სიებშია წარმოდგენილი. თუმცა, ჩნდება მნიშვნელოვანი კითხვა: ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ქართული მემკვიდრეობის დაცვაზე? ბუნებრივია, ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფოს, შესაბამისი პროფესიული ინსტიტუტების, მეცნიერების, მუზეუმების, არქივებისა და კულტურული მხოლოდ ისტორიული ძეგლებისა და კულტურული ფასეულობების შესახებ ცოდნის მიღება, არამედ მათი პოპულარიზაციაც. თანამედროვე ტექნოლოგიები ამ შესაძლებლობას კიდევ უფრო ზრდის. სოციალური ქსელები, ციფრული არქივები, ვირტუალური ტურები, დოკუმენტური მასალები და საგანმანათლებლო პლატფორმები ისტორიული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციის ფართო საზოგადოებისთვის მიწოდებას ამარტივებს.

ახალგაზრდის დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნის ისტორიისადმი მხოლოდ აკადემიური განათლების საკითხი არ არის. როდესაც ადამიანი იცნობს თავისი ქვეყნის ისტორიულ ძეგლებსა და კულტურულ ტრადიციებს, მას უჩნდება მათი დაცვის პასუხისმგებლობის განცდაც. სწორედ ამიტომ განათლებას კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტების პასუხისმგებლობას უკავშირდება. მაგრამ მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების ძალისხმევა საკმარისი არ არის. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა საზოგადოების საერთო პასუხისმგებლობაა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მხრივ ახალგაზრდების ჩართულობას აქვს. სტუდენტებს შეუძლიათ არა მხოლოდ ისტორიის სწავლა, არამედ აქტიურად მონაწილეობა მიიღონ ძეგლების დაცვის ადგილობრივ ინიციატივებში, ეწვიონ ისტორიულ ადგილებს, მონაწილეობა მიიღონ ეკოლოგიურ აქციებში, შექმნან ციფრული პროექტები ან ისტორიული ადგილების შესახებ ინფორმაციული მასალები. ასეთი აქტივობები ხელს უწყობს ისტორიული მეხსიერების გაღრმავებას და ქმნის ახალ ხიდებს თაობებს შორის.

გელათის სამონასტრო კომპლექსი

ქართული ისტორიული მემკვიდრეობა ჩვენი საერთო პასუხისმგებლობაა, მისი დაცვა კი არამხოლოდ წარსულის შენარჩუნება, საქართველოს მომავლის დაცვაცაა.

თინა კორტი
ისტორიის სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტი



მინდია ტატალაშვილის წარმატება აგროლიგის ოლიმპიადაზე

პირველი ადგილი ჩემთვის დიდი სიხარულის, სიამაყისა და პასუხისმგებლობის განცდას უკავშირდება. – ამბობს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი მინდია ტატალაშვილი, რომელმაც 2026 წლის აგროლიგის ოლიმპიადაზე გამარჯვება მოიპოვა. მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

გამარჯვებული სტუდენტი ინტერვიუში საუბრობს მიღწეულ წარმატებაზე, უნივერსიტეტის როლზე მის პროფესიულ ზრდაში და იმ მთავარ მოტივაციაზე, რაც ახალგაზრდებს დასახული მიზნების მიღწევაში ეხმარება.

– მინდია, გვესაუბრეთ თქვენს წარმატებაზე.

– 2026 წელს მონაწილეობა მივიღე აგროლიგის ოლიმპიადაში, სადაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით პირველი ადგილი მოვიპოვე. ეს იყო ჩემთვის მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელმაც მომცა შესაძლებლობა, ჩემი ცოდნისა და შესაძლებლობების გამოვლენის. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ამ წარმატებით ჩემი უნივერსიტეტის სახელი წარმოვაჩინე.

– რას ნიშნავს თქვენთვის პირველი ადგილის მოპოვება?

– პირველი ადგილის მოპოვება ჩემთვის დიდი სიხარულის, სიამაყისა და პასუხისმგებლობის განცდას უკავშირდება. ეს წარმატება ჩემი შრომისა და მონდომების შედეგია და კიდევ უფრო მეტ მოტივაციას მაძლევს, განვაგრძო განვითარება, გავიღრმავო ცოდნა და მომავალშიც მივაღწიო დასახულ მიზნებს.

– გვესაუბრეთ უნივერსიტეტის როლზე თქვენს წარმატებაში.

– სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩემს აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაში. უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა და გამოცდილება მეხმარება საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენასა და ახალი გამოწვევების დაძლევაში. მადლიერი ვარ, რომ მქონდა შესაძლებლობა, სწორედ ამ უნივერსიტეტის სახელით მიმეღო მონაწილეობა ოლიმპიადაში და მიმეღწია ასეთი მნიშვნელოვანი შედეგისთვის.

– რას ურჩევდით ახალგაზრდებს?

– ახალგაზრდებს ვურჩევდი, არასდროს შეეშინდეთ ახალი გამოწვევებისა და შესაძლებლობების გამოყენების. მნიშვნელოვანია, გვჯეროდეს საკუთარი თავის, მუდმივად ვისწრაფოდეთ ცოდნის მიღებისა და განვითარებისკენ და არ დავნებდეთ სირთულეებს. წარმატება ყოველთვის მარტივად არ მოდის, თუმცა, შრომა, მონდომება და მიზანდასახულობა საბოლოოდ შედეგს აუცილებლად გამოიღებს.

– გისურვებთ ბევრ წარმატებას, მინდია. მადლობა ინტერვიუსთვის.

– მადლობა თქვენ.

ინტერვიუერი
ლიკა ზაზაშვილი

გამოცდილება, მეგობრობა და ახალი შესაძლებლობები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს ორგანიზებით, ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერითა და ათენის მერიასთან თანამშრომლობით, აფხაზეთიდან დევნილი 11-დან 15 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისთვის, საერთაშორისო საზაფხულო ბანაკი გაიმართა ქალაქ ათენში. ორი კვირის განმავლობაში მონაწილეები მრავალფეროვან კულტურულ-შემეცნებით, გასართობ და სპორტულ აქტივობებში იყვნენ ჩართულნი. მათ მოინახულეს ათენის ისტორიული და ღირსშესანიშნავი ადგილები, გაეცნენ ბერძნულ კულტურასა და ისტორიას, გაიცნეს თანატოლები და ახალი მეგობრები შეიძინეს.

ბანაკის ფარგლებში ახალგაზრდებისთვის შეიქმნა სივრცე, სადაც მათ საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა, ახალი გამოცდილების მიღება და სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობა შეეძლოთ. ბანაკის დახურვის ღონისძიებას ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფროსი **გიორგი სუთიძე**, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბერძნეთის რესპუბლიკაში **ლევან ბერიძე**, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე **ვლადიმერ მგალობლიშვილი**, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და აფხაზეთის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს წარმომადგენლები.

პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ბანაკის ლიდერების მუშაობაც, რომელთა შორის ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები, აფხაზური ცენტრის – **„მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“**, თავმჯდომარე **რიმა სუდაძე** და მისი მოადგილე **თენგიზ მელიქიძე** იყვნენ.

მათ ბანაკის მიმდინარეობისას ახალგაზრდებთან ყოველდღიური კომუნიკაციის, მხარდაჭერისა და სხვადასხვა აქტივობაში ჩართულობის მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ჰქონდათ.

დამეთანხმებით, რომ ყველაზე ნათლად იქ განცდილ ემოციებსა და მიღებულ შთაბეჭდილებებს სწორედ ამ ორი ახალგაზრდისგან შევიტყობთ.

ინტერვიუ
რიმა სუდაძესთან

– როგორი იყო თქვენი მთავარი პასუხისმგებლობა ბანაკში?

– მე ბანაკში ლიდერის რანგში ვიყავი ჩართული და ჩემი მთავარი პასუხისმგებლობა ახალგაზრდებთან ყოველდღიური კომუნიკაცია, მათი მხარდაჭერა, სხვადასხვა აქტივობაში ჩართულობის ხელშეწყობა და მათთვის უსაფრთხო და მეგობრული გარემოს შექმნა იყო. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ თითოეულ მონაწილეს თავი ამ გამოცდილების სრულფასოვან ნაწილად ეგრძნო.

– როგორი იყო პირველი შეხვედრა ბანაკის მონაწილე ახალგაზრდებთან? რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

– პირველი შეხვედრა ძალიან საინტერესო და ემოციური იყო. ბავშვები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ ხასიათით, ინტერესებითა და გამოცდილებით, თუმცა, ძალიან მალე შევძელით საერთო ენის გამონახვა. ყველაზე მეტად მათი გულწრფელობა და ცნობისმოყვარეობა დამამახსოვრდა. მათ აინტერესებდათ ყველაფერი – ერთმანეთის გაცნობა, საბერძნეთის კულტურა, ათენის ისტორიული ადგილები და ახალი გამოცდილებები. რამდენიმე დღის შემდეგ უკვე აშკარად იგრძნობოდა, რომ ბანაკი მათთვის მხოლოდ მოგზაურობა აღარ იყო და ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობებიც ჩამოუყალიბდათ.

– საინტერესოა, რომელ აქტივობებში იყვნენ ახალგაზრდები ყველაზე მეტად ჩართულები?

– ბანაკის პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. ახალგაზრდები მონაწილეობდნენ კულტურულ-შემეცნებით და გასართობ აქტივობებში, ასევე, მოეწყო ექსკურსიები ათენის ისტორიულ ადგილებში. მათ განსაკუთრებით მოსწონდათ ისეთი აქტივობები, სადაც თავადაც იყვნენ ჩართული და შეეძლოთ საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა.

განსაკუთრებული ემოცია, ვფიქრობ, დახურვის ღონისძიებამ გამოიწვია, როდესაც ახალგაზრდებმა საკუთარი შემოქმედებითი ნომრები, მუსიკალური და ქორეოგრაფიული პერფორმანსები წარადგინეს. ეს იყო მომენტი, როდესაც ყველაზე კარგად გამოჩნდა, რამდენად ბევრი რამ მიიღეს მათ ამ ორი კვირის განმავლობაში.

– როგორც ბანაკის ლიდერისთვის, რა იყო თქვენთვის ყველაზე საინტერესო და, ამავდროულად, ყველაზე რთული?

– ყველაზე საინტერესო ჩემთვის იყო ახალგაზრდებთან ყოველდღიური ურთიერთობა და მათი ცვლილებების დაკვირვება. თავიდან ზოგიერთი მათგანი უფრო მორიდებული იყო, თუმცა, თანდათან უფრო თავისუფლად გამოხატავდნენ საკუთარ აზრებს, ინტერესებსა და ემოციებს. რთული იყო ის, რომ თითოეულ ბავშვს განსხვავებული ხასიათი და საჭიროება ჰქონდა. ლიდერისთვის მნიშვნელოვანია, ერთდროულად შეძლო მთელი ჯგუფის მართვა და თითოეული მონაწილის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. სწორედ ამ მხრივ იყო ეს გამოცდილება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი – ვისწავლე მეტი მოთმინება, ყურადღებით მოსმენა და თითოეულ ახალგაზრდასთან, ინდივიდუალური მიდგომისთვის, არსებული საჭიროებების მრავალფეროვნების გათვალისწინება. ყველაზე ძვირფასი იყო ჩემთვის ის სიყვარული და პატივისცემა, ის გულწრფელობა და ნდობა, რომელსაც თითოეული მოსწავლისგან ვგრძნობდი.

უანგარო სიყვარულის ზეიმი იყო ლიდერობა.

– თქვენთვის, როგორც აფხაზური ცენტრის თავმჯდომარისთვის, რას ნიშნავს დევნილი ახალგაზრდების მსგავს საერთაშორისო პროექტში ჩართულობა?

– ჩემთვის ეს გამოცდილება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს. აფხაზური ცენტრის „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ საქმიანობაც სწორედ ახალგაზრდებთან ურთიერთობას, მათ გაძლიერებას, კულტურისა და დიალოგის ხელშეწყობას უკავშირდება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო, უშუალოდ ვყოფილიყავი აფხაზეთიდან დევნილ ახალგაზრდებთან ერთად ისეთ საერთაშორისო სივრცეში, სადაც მათ ახალი გამოცდილებების მიღებისა და საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალება ჰქონდათ. ვფიქრობ, ასეთი პროექტები ახალგაზრდებისთვის მხოლოდ რამდენიმე დღით სხვა ქვეყანაში ყოფნას არ ნიშნავს. ისინი ეცნობიან სხვა კულტურას, ისტორიულ გარემოს, ადამიანებს, იძენენ ახალ მეგობრებს და უფრო ფართოდ ხედავენ საკუთარ შესაძლებლობებს.

ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ გამოცდილებაში მათ გვერდით ვიყავი არა მხოლოდ როგორც ბანაკის ლიდერი, არამედ როგორც ადამიანი, რომელიც ახალგაზრდებთან მშვიდობისა და ერთობის თემებზე მუშაობს. სწორედ ასეთი გამოცდილებები ქმნის ახალგაზრდებისთვის ახალ შესაძლებლობებს და აძლიერებს მათ თავდაჯერებას.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის კავშირი, რომელიც პროექტის ფარგლებში გამოიკვეთა საქართველოსა და საბერძნეთს შორის, ორი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა, კულტურული და რელიგიური ურთიერთობები. ვფიქრობ, ახალგაზრდებისთვის ასეთი გამოცდილების მიღება განსაკუთრებით ღირებულია, რადგან ისინი ამ ურთიერთობებს საკუთარი გამოცდილებით ეცნობიან.

ინტერვიუ
თენგიზ მელიქიძესთან

– რა როლი გქონდათ თქვენ ბანაკში და როგორ გამოიყურებოდა ბანაკის ლიდერის ერთი ჩვეულებრივი დღე?

– ჩვენი მთავარი როლი აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდებისთვის მეგობრული, მზრუნველი და უსაფრთხო გარემოს შექმნა იყო. ბანაკის ყოველი დღე სულ უფრო გამორჩეული და უკეთესი ხდებოდა. მაოცებდა ის ფაქტიც, თუ როგორ იზრდებოდნენ მონაწილეები პიროვნულად ყოველდღიურად. მათი ენერგია კი უბრალოდ საოცარი და შეუფასებელი იყო. ახალგაზრდები ჩართული იყვნენ სხვადასხვა სახალისო, შემეცნებითსა და სპორტულ აქტივობებში. ამ ორმა კვირამ ისე განვლო, ახალგაზრდები იმდენად მიეჩვივნენ ერთმანეთს, საბოლოოდ განშორებაც კი გაუჭირდათ.

– ბანაკში ყოფნისას რა თემებზე საუბრობდნენ ახალგაზრდები ყველაზე ხშირად?

– ახალგაზრდები ყველაზე ხშირად თავიანთ შთაბეჭდილებებსა და სამომავლო გეგმებზე საუბრობდნენ. ისინი ყველაფერს თავისი გულწრფელი სიცილით განიხილავდნენ და არ ეშინოდათ საკუთარი თავის ახალ რაღაცებში გამოცდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მათ შეძლეს დამეგობრება ბანაკში მონაწილე უკრაინელ და ბერძენ ახალგაზრდებთანაც. ახლაც კი, როდესაც ვაანალიზებ მათი პირველი და ბოლო დღის აქტივობას, ვხედავ უზარმაზარ სხვაობას. ეს ცვლილება და თითოეული მათგანის ზრდა, მომავლის რწმენითა და იმედით, კიდევ უფრო მეტად მავსებს.

– თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი დევნილი ახალგაზრდებისთვის მსგავსი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების არსებობა?

– ბედნიერი ვარ, რომ შევძელით ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი გამოცდილებისა და ცოდნის მიცემა, რომელიც კიდევ უფრო დაეხმარებათ, იყვნენ ჩვენი საზოგადოების ძლიერი, განვითარებული და ღირსეული წარმომადგენლები. მსგავსი პროექტები მათ აძლევს შესაძლებლობას, აიმაღლონ თავდაჯერებულობა, იპოვონ ახალი მეგობრები და დაამყარონ მნიშვნელოვანი კონტაქტები. სახელმწიფოს, საპატრიარქოსა და საერთაშორისო პარტნიორების ერთობლივი ძალისხმევა მათ აგრძნობინებს, რომ თითოეული მათგანის წარმატება და ჩართულობა ჩვენი საერთო საქმეა.

– რა გამოცდილება დაგიტოვათ ათენში ყოფნამ პროფესიული და პიროვნული განვითარების თვალსაზრისით?

– პიროვნული თვალსაზრისით, ეს იყო ფასდაუდებელი ემოციისა და პასუხისმგებლობის გაზიარების გამოცდილება. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი და გავიაზრე ახალგაზრდულ ძალისა და მათ მუხტზე, რომელიც შეუფასებელი ენერგიის მატარებელია. ამ ორმა კვირამ და საერთაშორისო მასშტაბის პროექტმა მკაფიოდ დამანახა, რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ახალგაზრდისთვის მსგავსი სივრცეების შექმნა, სადაც ისინი თავს თავისუფლად, დაფასებულად და თავდაჯერებულად გრძნობენ. ეს გამოცდილება თითოეული ჩვენგანისთვის ზრდის, ახალი პერსპექტივებისა და საერთო მომავლის შენების საუკეთესო გზაა.

– რას ეტყოდით სტუდენტებს, რომლებსაც მომავალში მსგავს პროექტებში ჩართვის სურვილი ექნებათ?

– პირველ რიგში, ვეტყოდი, რომ აუცილებლად გამოიყენონ თითოეული შანსი, რასაც ახალგაზრდობის სააგენტოები, სამინისტროები და საერთაშორისო პლატფორმები სთავაზობენ. არასოდეს შეეშინდეთ ინიციატივის გამოჩენის.

ნებისმიერი ასეთი ბანაკი თუ პროექტი ცვლის ჩვენს მსოფლმხედველობას, გვივითარებს სხვების კულტურის პატივისცემის უნარს, განგვიმტკიცებს რწმენას, რომ ჩვენი ახალგაზრდების წარმატება საქართველოს ძლიერი მომავლის საფუძველია.

* * *

ათენის საერთაშორისო საზაფხულო ბანაკი დასრულდა, თუმცა, მისი გამოცდილება მონაწილეებისთვის მხოლოდ ორი კვირის მოგონებად არ დარჩენილა; მათ შეიძინეს ახალი მეგობრები, გაეცნენ განსხვავებულ კულტურებს, გაიფართოვეს თვალსაწიერი და საკუთარ შესაძლებლობებში უფრო მეტად დარწმუნდნენ.

ბანაკის დახურვისას სცენაზე გაჟღერებული მუსიკა, შესრულებული ქორეოგრაფიული ნომრები და მონაწილეების ემოციები თითქოს ორი კვირის საერთო გამოცდილებას აერთიანებდა. დასრულდა პროგრამა, მაგრამ დარჩა ის, რაც მსგავს პროექტებს ყველაზე დიდ მნიშვნელობას სძენს: ადამიანური ურთიერთობები, ნდობა, მეგობრობა და მომავლის რწმენა.

ათენში მიღებული გამოცდილება, ახალგაზრდებთან ერთად, საქართველოში დაბრუნდა. სწორედ ასეთი ინიციატივები, ახალი მეგობრები და ერთმანეთის კულტურის გაცნობა ქმნის იმ საფუძველს, რომელზეც ახალგაზრდები მომავალს აშენებენ. აფხაზური ცენტრის „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ საქმიანობაც სწორედ ამ იდეას – ახალგაზრდების გაძლიერებას, ურთიერთობას, დიალოგსა და ერთობის მნიშვნელობის გააზრებას ემსახურება. შესაძლოა, დღეს ბანაკის მონაწილეებმა მხოლოდ ორი კვირა გაატარეს ათენში, მაგრამ იქ შექმნილი მეგობრობა, მიღებული გამოცდილება და ერთმანეთისადმი ნდობა მათ ცხოვრებაში დიდხანს დარჩება. ერთობის გზა ხშირად სწორედ იქ იწყება, სადაც ახალგაზრდები ერთმანეთს ხვდებიან, უსმენენ და ერთად აღმოაჩენენ, რომ განსხვავებული ისტორიების მიუხედავად, საერთო მომავლის შექმნა ყველას შეუძლია.

ანანო გუგელაძე
ინგლისური ფილოლოგიის მე-3 კურსის სტუდენტი



რედაქტორი
მარინე ზედელაშვილი

რედკოლეგია:
ლიკა ზაზაშვილი, რიმა სუდაძე, ირი ბალახაძე, ნატალია ვარდიძე, თენგიზ მელიქიძე, ანა ბერიძე, პაპო ტატალაშვილი, თამთა მსხვილიძე

მისამართი
ქ. ახალციხე, რუსთაველის 113

ტელ.: (+995) 22 890 400 191
ტელ.: 599 25 25 68

ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge